


საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 18 აპრილი 30 1900 წ. № 18

**შინაარსი:** თფილისის ბანკის კრება.—სხვა-და-სხვა ამბავი.— ,,კვალი''-ს კორესპონდენცია.—ინგლის ტრანსვაალის ომი.—ერთი შემთხვევა დ. ქ—ძისა.—იძულებული განმარტება პ. სურგულაძისა.—ლავრენტი ტარიელის ძე ჯორჯიკიას ხსოვნას მეგობრისა.—თფილისის ახალი სასწავლებელი ი. გომელაურისა.—ბ. ,,არც მტერს და არც მოყვარეს'' სევ. ჯ—ლისა.—გზა-და-გზა ნ. ჟორდანიასი.—წერლი რედაქციის მიმართ ქართველი ექიმისა.—ნულების წერილები.—ბიბლიოგრაფია გი—ვისა.—,,კვალის'' ფოსტა და განცხადებები.

## თფილისის ბანკის კრება.

საკვირველი ამბები ხდება ამ ჟამათ თფილისის სათ.-აზნ. ბანკის წარმომადგენელთა კრებაზე. ეს მესამე დღეა ორატორთა გაცხარებული კამათია „ანგარიშის“ შესახებ და კრებას ის ჯერაც არ დაუმტკიცებია. ეს პირველი მაგალითია ამ ბანკის ისტორიაში, რომ მართველობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში ასე დიდ-ხანს არ დამტკიცებულიყოს. მერე რა აქვთ ამ პატივცემულ პირთ ამდენი სადავო და სალაპარაკო? ბევრი, ძალიან ბევრი და მასთან დიდათ საყურადღებოც. გასულმა წელმა ნათლათ დაანახვა ყველას, თუ რას ნიშნავს საზოგადო საქმეში ოპოზიციის მოშლა და ბალიაობის გამეფება. და აი ეს „ბალიაობა“ დაარღვია წლევანდელმა კრებამ, დაარღვია ისეთ ნაირათ, რომ მისი ხელახლა დაბრუნება გამგეობის მიერ შეუძლებელი უნდა იყოს. ამის გასაგებათ შევალოთ კრების კარები და მივიხედ-მოვიხედოთ.

კრების გარეგანი სახე ისეთია, როგორც გასულ წელს იყო. წინა რიგები უჭირავს ღენერლობას, საზოგადოთ მხედრობას. ამათ ღალატობს ერთათ-ერთი თ. გ. თარხნიშვილი, ეს ყველა კრების მიუცილებელი წევრი, რომელიც მუდამ უკანასკნელ წყებაზე ზის და „ზურგის ჯარს“ მეთაურობს. ლაპარაკობს დინჯათ და რიხიანათ, მისი ხმა, რა სიშორითაც უნდა იყო, ისე შეგანძრევს, რომ ძალაუნებურათ მისკენ მიიხედავ, რაღაც დიდი ამბავი უნდა იყოსო. ის ერთათ-ერთი ორატორია „დარცხვენილთა“ წყებიდან მოლაპაკე. დანარჩენი ორატორები ჩვეულებრივათ მეორე-მესამე წყებაზე არიან დაბანაკებულნი და ძალიან გაბედული მათგანი შეიძლება პირველი წყების ხალხსაც შეერიოს. ერთი ასეთი გაბედულთაგანი არის თ. ვლ. მიქელაძე, რომელმაც თავისი „ურჩობით“ ოპოზიციის ლიდერის სახელი ერთი დაკვრით დაიმსახურა. თ. მიქელაძე ძალიან ნათელი და გარკვეული მოლაპარაკეა, ასე ჰგონია სკოლაში და გაკვეთილს ჰხსნისო (წინეთ მგონი მასწავლებლათ იყო გიმნაზიაში). მაგრამ ამ თავის

„გარკვეულობას“ იშვიათათ ხმარობს ხოლმე კრებებზე. ეს თავისი ჩვეულება წელს დაარღვია და როგორც იტყვიან „კრიჭაში“ ჩაუდგა გამგეობის „ანგარიშს“. ღალატია, ეს ღალატი—უთხრა მას თ. ი. ჭავჭავაძემ კერძოთ. მარა ასეთივე „ღალატი“ მაიმოქმედა თვითონ ილიამ სამეურნეო ბანკის კრებაზე, როცა მისი დირექტორის, თ. მიქელაძის, „ანგარიშს“ კრიტიკა დაუწყო. იქ თ. ჭავჭავაძე „ოპოზიციონისტობდა“, ხოლო აქ კი თ. მიქელაძე ოპოზიციანისტობს. ეს ასე ვთქვათ, სამაგიეროს გადახდაა, თუმცა ეს „სამაგიერო“ ნამეტანი სასტიკი შეიქმნა თ. ჭავჭავაძესთვის. თ. მიქელაძემ პირველ დღესვე გაიტანა თავისი. კრებამ დიდი ხმის უმეტესობით გადაწყვიტა მომავალი წლიდან ანგარიში შესწორდეს ისე, როგორც ამას მიქელაძე თხოულობდა დ̃ ჭავჭავაძე უარს ჰყოფდა.—მეორე წყების ორატორი გახლავს თ. ვ. მაჩაბელი, ნაშთი „უძლეველი არმადისა“ და ახლა ობლათ დარჩენილი. მისი ლაპარაკი უფრო გულ-მოსული კაცის ლაპარაკია, ამიტომ ჩქარობს და ამ სიჩქარეში აზრის მკაფიოთ გამოხატვა ეძნელება. ხანდახან ისეთი რუსულები წაცდება, რომ კრების „სტილისტები“ გულიანათ იცინიან. თ მაჩაბელი ოპოზიციის ლიდერათ შეიქმნა მეორე დღის კრაბაზე (ხუთშაბათის), როცა პალიკო ყიფიანზე ჩამოვარდა ბაასი. აქ პირველი ლიდერი, მიქელაძე, უკან დადგა და წინ მაჩაბელი გამოვიდა. მიქელაძემ რაღაც „შინაურული“ მოსაზრებით თავის-თავი გადააყენა ოპოზიციიდან, ამაზე ლაპარაკი არა ღირსო და ბანკის მართველობა „შეიცოდა“. მაჩაბელის მარჯვენა ხელი შეიქნა ექიმი ხუდადოვი. ხუდადოვი ბანკის თითქმის ყველა კრების ორატორია. მან ბევრი ცერემონია არ იცის ლაპარაკში, ამბობს იმას, რასაც გრძნობს და სინდისი უჭრის. ამისათვის მისი სიტყვა ყოველთვის შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე და ხშირათ „ვაშასაც“ იწვევს. მაჩაბლის მარცხენა ხელი შეიქნა თვით მაზე უფრო „მაჩაბელისტი“ თ. დ. ლ. ამილახვარი, ყურთმაჯებში გამოწყობილი და სახის სასტიკი გამომეტყველებით ყურადღების მიმპყრობი. ის ისე იჯდა კუთხეში, რომ არც ვინმეს ეგონა ბანკის საქმის გაეგება რამეო. მარა როცა წამოდგა და კითხვები დაუსვა გამგეობას, მაშინ კი ყველამ თქვა, გარეგნობა მაცდურიაო. მას მეტ სახელათ თურმე „სპასოვიჩს“ უწოდებენ და ეს სპასოვიჩობა თავისი შეურიგებლობით დაამტკიცა: ან ჩვენ უნდა ვიყოთ და ან გამგეობაო!—ოპოზიციისაკენ ლაპარაკობდა აგრეთვე ბ. კობიევი, ეს ბანკის კრებების „იაკობინელი“. მას საქმის ცოდნა შესწევს. თითქმის ყოველთვის ციფრების და ქაღალდების ძალით ლაპარაკობს, მაგრამ ერთი ნაკლულევანება აქვს, მოკლე სიტყვას გძლათ ჭრის და კავშირი ეკარგება; ასე რომ ბოლოს კაცმა არ იცის, რის თქმა სურდა ბ. კობიევს.

აი ესენი და ორიოდე კიდევ სხვა შეადგენენ წლევანდელი ოპოზიციის ავანგარდს. ახლა გადავიხედოთ მართველობისაკენ. გამგეობის სტოლთან სხედან უგანათლებულესი თ. მ. ა. გრუზინსკი, ბ. ხ. ი. მამაცაშვილი (ღერენალი), ბ. კ. ბ. ჩილაევი (ესეც ღერენალი) და შუაში თავმჯდომარე თ. ილია ჭავჭავაძე. ერთათ ერთი ჭავჭავაძე გრძნობს თავის თავს თავის ალაგას, სხვები ასე გგონიათ სტუმრებიაო. ამათი შეხედულობა, გეუბნება: ჩვენ არც ერთი ეს არ გვეხებაო! და მართლაც არ ეხება. თვითოეულ მათგანს შეუძლია დაიფიცოს, ჩვენ არაფერ შუაში ვართო. და მართალიც არის. ეს „შუაში“ თუ ვინმეა ისევ შუაში მჯდომი თავმჯდომარეა. გამგეობის თავი და ბოლო თ. ჭავჭავაძეა. ის არის პასუხის მგებელიც და ამიტომ წლევანდელ კრებაზე ასე უფეროულათ და დაღონებულათ გამოიყურება. ლაპარაკობს ძალიან იშვიათათ და მაშინაც ნელა და სუსტათ. ხან და ხან ახლო მჯდომსაც არ ესმის მისი სიტყვა. ასე წელმოწყვეტილათ ჯერ ის არ გვინახავს კრებებზე, უეჭველია რაღაც ისე არ არის, როგორც უნდა იყოს და ეს აფიქრებს. ლაპარაკში ერთობ ბრაზდება, გული მოსდის; ერთხელ ისე გაბრაზდა, რომ ახლო-მახლო ოთახებში მყოფ ბანკის მოსამსახურეებს ფარსაგი არ ეგონათ და მოსაშველებლათ გამოიქცენ. ჯერ არ გვინახავს ილია ასე გულმოსულიო—ამბობდენ ისინი. და მერე რამ გააბრაზა? რამ და იმან, რომ მისი სიტყვის უსაბუთობა ისე აშკარა იყო ყველასათვის. ამისათვის ის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა საზოგადოებაზე. ილიას სიტყვის დაწყება საერთო სიჩუმეს და ყურადღებას იწვევდა, მარა შუას მერე ხმაურობა და პროტესტი ძლიერდებოდა და ბოლოს სრულ უყურადღებობაში ათავებდა და ჯდებოდა. ასეთი „დიდი კაცი“ და ასე პატარა ყურადღება! O tempora, o mores!

გამგეობის მარჯვნივ დგას მეორე სტოლი, რომლის გარშემო სხედან ზედამხედველი კომიტეტის წევრნი. ამათი საერთო რიცხვია 9 და ყოველთვის კრების დროს ამ სტოლს არ მოშორდებიან. წელს კი რაღაც ამბავი დატრიალებულა მათ შორის და უმრავლოსობა აქეთ-იქით მიურეკ-მოურეკია. დარჩენილთა შორის არიან: თვითონ თავმჯდომარე უგან. თ. პ. გრუზინსკი, თ. ნ. დ. ანდრონიკაშვილი, ბ. გ. ჟურული და ხანდახან გამოჩნდებოდა თ. ს. რ. ვახვახიშვილიც. პირველიც ისე ზის, ვითომც ამბობდეს, თუ რამე მოხდა ჩემი ბრალი არ არის, ხელი დამიბანიაო. მეორეს, ანდრონიკაშვილს,

გამარჯვებულის სახე აქვს, აი როგორ ასრულდა ჩემი ბრალმდებელი ოქმი ყიფიანის წინააღმდეგაო. მარა ყველაზე უფრო თავისუფლათ და არხეინათ ბ. გ. ქურულია. ის კიდევაც გაიღიმებს (რაც ასე იშვიათია ამ ორ სტოლზე), კიდევაც იოხუნჯებს, თითქო ამით ამბობდეს: რაც მოხდა, მოხდა, რა ვუყოთ მერეო! დანარჩენი წევრები დიოგენის ფარნით უნდა ეძიო დარბაზში, ერთი ერთ კუთხეში ჩამალული, მეორე მეორე კუთხეში. კომიტეტის წევრთა შორის საერთო სიმპატია უცებ დაიმსახურა თ. ალ. ზ. ჩოლოყაშვილმა. მაშინ როდესაც მისი თანაამხანაგნი გამგეობითურთ თავის უდანაშაულობას ამტკიცებდენ, ის ადგა და თქვა: მე გულწრფელათ აღვიარებ, რომ დანაშაული ვართ, ჯერ მარტში გვქონდა შეურყეველი საბუთები პალიოკო ყიფიანის დანაშაულობისა და ყურადღება არ მივაქციეთო! ამ განცხადებამ ტაშის ცემა გამოიწვია კრებაში. ამით გაიმართა პოლემიკა თვითონ მართველთა შორის. ციხე შიგნიდან გატყდებაო, ტყუილათ კი არ არის ნათქვამი. და აი ამ გატეხილი ციხის დამაგრება მოინდომეს ზოგიერთმა წარმოწადგენლებმა. ამათ სასახელოთ უნდა ითქვას, რომ არავის, გარდა ერთისა, არ მოუწადინებია გამგეობის და ზედამხედველი კომიტეტის სრული გამართლება. ყველა ამბობდა, მტყუანი არიანო, მათ შეეძლოთ დროზე შეეყენებიათ ყიფიანიო და სხ. ის ერთადერთი დამცველი გახლავს თ. დ. გურამიშვილი, კანდიდატი დირექტორობის ადგილზე. ჩვენ იმას შარშან მოვუსმინეთ და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა. წელს კი ისეთი ,,ადვოკატური რეჩი‘‘ წარმოთქვა, რომ კრების უკმაყოფილება გამოიწვია, ხოლო ჩვეულებრივი დალაგება და საბუთიანობა სულ ერთიანათ აერ-დაერია. იცით რა თქვა? რა და ,,პსიხოლოგიის‘‘ ძალით გამგეობა მართალიაო! ეს ,,პსიხოლოგი‘‘ ორატორი კრების პსიხოლოგიას რომ დაჰკვირებოდა სულ სხვას იტყოდა. მარა რას იზამ, კანდიდატობამ ასე იცის ნახტომის შეშლა. ესეც პსიხოლოგიის ბრალია...

მარა, ვის რაც უნდა ეთქვა მართველობის სასარგებლოთ - მისი გამარჯვება მაინც სათუო იყო. მას «რეჩი», თუნდაც „პსიხოლოგიური“, ვერას უშველიდა, საჭირო იყო საქმე, და აი ეს იტვირთა კრების თავმჯდომარემ თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილმა. თ. ანდრონიკაშვილი აგრონომია და როგორც ამნაირი ცოტათ უნდა „მოიმუჟიკებდეს“; ნამდვილათ კი ისეთია როგორც გაპენტილი ბამბა. ისეთი ნაზი და მგრძნობიარეა რომ ასე ღგონია ახლა გამოსულა „ინსტიტუტიდანო“. და რადგანაც ჩვენებური ორატორების დაყვავება თურმე ტკბილი სიტყვით და სინაზით შეიძლება, ამიტომ თ. ანდრონიკაშვილსაც მუდამ კრების თავმჯდომარეთ ირჩევენ. შარშანდელი კრება მართლაც კარგათ, თავმჯდომარულათ, ჩაატარა. სამაგიეროთ წელს ის უფრო გამგეობის ადვოკატი იყო, ვინემ კრების მიუდგომელი წინამძღოლი. ის, როგორც კი მართველები გასაჭირში დაინახა, მაშინვე მათკენ გადავიდა და ყოველ ღონეს ხმარობდა მათ გასამარჯვებლათ და კრების დასამარცხებლათ. ჯერ ერთი რას ჰგავს მისი სათავმჯდომარო „თეორია“: უკანასკნელი სიტყვა უთუოთ თ. ილია ჭავჭავაძეს უნდა მივცეო! რატომა— ჰკითხეს აქედან-იქიდან.—ამიტომ რომ მე ასე მინდაო—მიუგო „თავმჯდომარემ!“ და ამან კიდევაც გამოიღო ნაყოფი. თ. ჭავჭავაძემ წარმოთქა სიტყვა და ამტკიცებდა, რომ ჩვენ ყიფიანს ვერ გამოვწირეთ ის ნდობა რომელიც კენჭმა მიანიჭაო და სხვ. ამ დროს ხუდადოვმა დაიძახა: მაჩაბლის საქმე დაგავიწყდათ? (ე. ი. კენჭით არჩეული ი. მაჩაბელი თ. ი. ჭავჭავაძემ გამოაგდო გამგეობიდანო) თუ კი ასე აფასებთ კენჭს, მაშინ სად იყავითო! ამაზე წამოვარდა თ. ლ. ჯანდიერი და ისეთი ყვირილი მორთო, რომ ბევრს შიშის ზარი დაეცა. და აი ეს ყვირილი ბ. თავმჯდომარემ არ შეაჩერა, ხოლო როცა ბ. ხუდადოვმა ამის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება დააპირა, ამავე თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება არ მისცა! როცა თ. ჭავჭავაძე თავის სიტყვაში შეეხო თ. ნიკ. თუმანიშვილის და ყიფიანის დამოკიდებულებას იქვე მჯდომ თუმანიშვილს თავმჯდომარემ ლაპარაკის ნება არ მისცა, რომ ჭავჭავაძის ზოგი სიტყვა გაებათილებინა![1]) როცა ჭავჭავაძემ დაასრულა ლაპარაკი თავმჯდომარემ გამოაცხადა: აწი ლაპარაკის უფლებას აღარავის მიეცემ და წინადადებას კენჭს ვუყრიო. ხუდადოვის წინადადებას— გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ცნობილ იქმნან ყიფიანის საქმეში მტყუანათ თუ არაო[2])—თავმჯდომარემ კენჭი არ უყარა და სამაგიეროთ თავისი წინადადება წამოაყენა: 26,000 მ. ყიფიანის მი-

---

[1]) საკვირელია ეს კრება იმითაც, რომ თ. ჭავჭავაძემ მოწინააღმდეგეთა აზრი ერთხელაც ვერ მოიყვანა ისე, რომ არ შეეცვალა და თავისებურათ არ განემარტა, რაც რასაკვირელია, მაშინვე პროტესტს იწვევდა (მაგ. მიქელაძის, ხეჩატუროვის და სხ.) ასეთი ყოფილა მისი საპოლემიკო წესი!

[2]) ბ. თავმჯდომარეს ეს წინადადება პრატაკოლშიაც არ შეუტანია, რამაც დიდი კამათი გამოიწვია პარასკევ საღამოს. თავმჯდომარე ამტკიცებდა, რომ ასეთი წინადადება სრულებით არ ყოფილაო! განა ამაზე უფრო მიკერძება და ცალმხრიობა შეიძლება? მას საზოგადოთ არც ერთი ის ნალაპარაკევი, რაც გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს ეხებოდა, პროტოკოლში არ შეუტანია! და, ასე გასინჯეთ, თვით ი. ჭავჭავაძემაც კი განაცხადა ამის წინააღმდეგ პროტესტი. ცხადია, il est plus royalist que le roi même.

ერ გაფლანგული ბანკის მოგებიდან დაიფაროსო. (ოპოზიცია ამბობდა გამგეობას გამოერიცხოს ჯამაგირიდანო), როცა მოითხოვეს ეს კითხვა დახურულის კენჭის ყრით გადაწყდესო — მან განაცხადა: ეს ჩემი ნებაა და ადგომ-დაჯდომით გადაწყვიტა: გამგეობის სასარგებლოთ ადგა 34, წინაამდეგ 14; ხოლო დიდი უმრავლესობა (სიით 113 წარმომადგენელი იყო დარბაზში) კი ადგილებიდან არ დაძრულა; უეჭველია, არც გამგეობის აშკარა გამტყუნება სურდათ და არც თავის სვინიდისის ღალატი დაისხდენ. ხოლო იაშჩიკები რომ დაედგათ — ისინიც მონაწილეობას მიიღებდენ კენჭში და საქმეც წესიერათ გადაწყდებოდა. და აი ყველა ეს მოიმოქმედა კრების თავმჯდომარემ, თ. ანდრონიკაშვილმა. ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისო — ეს არის.

რაში მდგომარეობს პალ. ყიფიანის საქმე — ამას შემდეგ ნომერში დავინახავთ.

## სხვა-და-სხვა ამბები

სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ წ. კ. საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართება მუშტაიდში 25 და 26 მაისს.

თფილისის სათ.-აზნ. ბანკს გასულ საანგარიშო წელს გაუცია 471 სესხი, სულ 4.013,990 მანეთისა, აქედან დიდ ვადიანი სესხი გაუცია 60 — სოფლის მამულზე 818,000 მ., ხოლო 308 ქალაქის მამულზე 2,931,700 მ. დანარჩენი მოკლე ვადიან სესხათ გაუციათ. საერთო-შემოსავალი ყოფილა 310,395 მ. 51 კ. ხარჯი ყოფილა სულ 106,569 მ. 67 კ. ამათში ყველაზე მეტი გასულა ბანკის მოხელეებზე — 67,651 მ. 95 კ. და ბაქოს სააგენტოს ზარალის დასაფარავათ 20,482 მ. 77 კ. წმინდა მოგება ბანკს დარჩენია 203,895 მ. 84 კ.

ქუთაისის სათ.-აზნ. ბანკის წარმომადგენელთა კრება დანიშნულია 30 მაისს.

ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას გასულ საანგარიშო წელს წმინდა მოგება დარჩენია 19,162 მ. 23 კ. აქედან წევრთა შორის დასარიგებლათ გადადებულია 13,405 მ. 22 კ. აქედან სრულ წევრს ერგება დივიდენდათ 8. 30 კ. და პრემიათ 1 მ. 38 კ.

ავჭალის ქუჩაზე გამართულ ცხენის რკინის გზის პატრონებმა, ყორღანოვმა და ალიბეგოვმა, აცნობეს ქალაქის გამგეობას, რომ გვსურს ჩვენი რკინის გზა თფილისის ცხენის რკინის გზის პატრონს „უსახელო საზოგადოებას“ მივყიდოთო.

გორის მემამულეთა ამხანაგობის წევრთა კრება დანიშნულია 30 აპრილს. როგორც მისი ანგარიშიდან ჩანს, გასულ საანგარიშო წელს ამხანაგობის საერთო აღებ-მიცემობა უდრიდა 85,112 მ. 13 მ. აქედან წმინდა მოგება დარჩენია 4,364 მ. 76 კ. ამხანაგობის აღებ-მიცემობა, მიუხედავათ თანხის სიმცირისა, სისწრაფით გაზდილა. „ანგარიშში“ გვეუბნება, რომ გლეხ-კაცობა ამხანაგობას უფრო-და-უფრო ნდობის თვალით უცქერის და გასაყიდი საქონელიც აქ მოაქვთ გასაყიდათო.

მთავრობას შეუწყნარებია ბათომის თვითმართველობის თხოვნა საქალებო გიმნაზიის დაარსების შესახებ. ხაზინიდან ბათომის ამ მომავალ გიმნაზიას მიეცემა 2000 მ,

სოხუმში განუზრახავთ დააარსონ საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

კვირას 23 აპრილს, იყო წლიური კრება მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთი-ერთ დამხმარებელი საზოგადოებისა. თოთხმეტი წელიწადია რაც ეს საზოგადოება არსებობს და ბევრნი დაარსებიდანვე იღებენ მონაწილეობას. მართალია ვერ დაიკვეხებს ეს საზოგადოება ვერც წევრების რიცხვით და ვერც შეძენილ თანხით, მაგრამ ყველა კაი საქმეები ჩვენში, როგორც საკვირაო სკოლები, სახალხო კითხვები, სახალხო თეატრები და ბავშვებზე ზრუნვა — ყველა ეს წარმოშობილია ამ საზოგადოების წევრებისაგან. საზოგადოება ყველა თავის წევრებს უმართავს ხელს ფულის სესხით, გაკვეთილების შოვნით, ძალიან გაჭირვებულებს ისეც აძლევს შემწეობას და დროებით ოთახსაც. ამ საზოგადოებას აქვს საკუთარი სკოლა, რომელშიაც გაყვანილია ის დედა აზრი, რომ ბავშმა უნდა დაიწყოს დედა-ენაზე სწავლა. მაგრამ საუბედუროთ ქართული განყოფილება სკოლაში მეტათ სუსტობს ქართველი დედ-მამის დაუდევრობით, რომელთაც ჰგონიათ რომ რაც მალე შეისწავლის სხვა ენას და საგნებს ყმაწვილი, მით უფრო მალე მიაღწევს მაღალს ასწავლებელსო. საზოგადოებამ განიზრახა პედაგოგიურ ასპარეზზე დაქანცულ და დაბერებულ თავის წევრების თავშესაფარათ და მისაშველებლათ ცალკე სახლი ააგოს, საზოგადოების ერთმა წევრმა კიდეც შესწირა ამ მიზნისთვის სახლის ადგილი. ახლა კომისიაა ამორჩეული, რომელმაც უნდა ამას ყური უგდოს.

ჩვენ მივიღეთ გრ. ჩარკვიანის მიერ გამოცემული ჯიბის „ვეფხის ტყაოსანი“, რომელიც ღირს 25 კ. ეს მართლაც ჯიბისაა და ადვილათ შეიძლება მისი თან ტარება.

## „კვალის“ კორესპონდენციები

ზემო ქართლი. ზემო ქართლში სურამის მახლობლათ იცის მრავალი დღეობები, სახელდობრ: კვირაცხოვლობა, გიორგობა (23 აპრილს), გორათობა (8 მაისს),

ამაღლება, ივანობა (24 ივნისს), ელიობა, მარიამობა, ღვთისმშობლობა და სხვა. ამ ზემოხსენებულ დღესასწაულებზე იკრიბება ხოლმე აუარებელი ხალხი—როგორც ახლო-მახლო სოფლებიდან, აგრეთვე შორეულ სოფლებიდანაც, სადაც იმართება ცეკვა-თამაში, სიმღერა ჭიდაობა და სხვა. აგრეთვე ამავე დროს იკრიბება დიდძალი მოვაჭრეები: აქ შეხვდებით დროებით მოტანილ სამიკიტნო დუქნებს და გაჩაღებულია ქართული სმა და ლხინი. აგრეთვე შეხვდებით ხარაზს, რომელსაც მოუტანია ფეხსაცმელები გასაყიდათ, მეჩოხეს, მეწვრილმანეს, ჭონს, მჭედელს, ნალბანდს და მრავალ სხვათ, რომელთაც მოაქვთ გასასაღებლათ თავისი ნამოქმედარი— აგრეთვე დიდძალ მსხვილ-ფეხ და წვრილ-ფეხ საქონელს მოერეკებიან სხვა-და-სხვა სოფლებიდან და უფრო კი ჯავახეთიდან გასაყიდათ, სოფლელებიც აქ უმთავრესათ სავაჭროთ მოდიან. მაგრამ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ ის უწესოება რომელიც ჰხდება ზემოთ ჩამოთვლილ დღეობებზე, სახელდობრ,—რაკი მოახლოვდება რომელიმე დღეობა ერთხელვე მადა გახსნილნი მოიჯარადრენი მიდიან ეკლესიის იმ მღვდელთან, რომლის დღეობაც უკვე მოახლოვებულა და ეკლესიას იღებენ იჯარით, ე. ი. ეკლესიის ეზოს და მის ახლო-მახლო ადგილებს, რომ დღეობაში ეს ადგილები სხვებზე გააქირაონ. ახლა უნდა უყუროთ ამ მართლაც და “მკლავაძეებს“ თუ რას ჩადიან და რამოდენა იჯარას ახდევინებენ იმ საცოდავ ვაჭრებს და ხელოსნებს, რომელთაც ორი გროშის მოგების იმედი ჰქონდათ!.. იმდენ ფულს თხოვენ მოვაჭრეთ, რომ ხშირათ ვერ უძლებენ და სრულებით ქირას არ აძლევენ. და აი ატყდება ერთი ალიაქოთი. აგერ ერთისთვის ჩოხა მოუტაცნიათ, მეორესთვის სამოვარი, აქეთ მეწვრილმანე და ხარაზი დაუწიოკებიათ, ჯავახს ცხვრებს ართმევენ, რადგანაც ეს უკანასკნელი ჯიუტობს და არ იხდის „ეკლესიის შესაწირს“: ჯანუმ და რაიზე გვტაცავ ცხორს, მგელი თუ არა ხარ?! იმ დრომდის არ ამოიღებს ეს ურჩი ჯავახი ჯიბიდან ფულს ვიდრე რუსის დალაბანდივით არ გაუხურებენ—გვერდებს და მერე კი იკადრებს იჯარის გადახდას!.. ესა და მრავალი ამნაირი რამ ჰხდება ამ ჩვენი მოიჯარადრეების წყალობით. ჩვენი აზრით ურიგო არ იქნება რომ ზემო დასახელებულ ეკლესიის წინამძღვარებმა ყურადღება მიაქციონ ამ საგანს და თვითონვე იკისრონ ხოლმე შესაწირავის მოკრეფა, ამით ეკლესიას უფრო მეტი შესავალი ექნება, ვიდრე მოიჯარადრეები აძლევენ და მეორე მხრით მოსული მოვაჭრეებიც ასე არ შევიწროვდებიან.

ლიხის მთიელი.

—

**ჭიათურა.** აქ შავი-ქვის ორნაირი მწარმოებელია: წვრილი მწარმოებელი და მსხვილი. პირველათ გვირაბიდან გამოაქვთ მადანი, გააქვთ პლატფორმაზე და იქ სხვილ მწარმოებელზე ჰყიდიან. ხოლო ესენი აგზავნიან საზღვარგარეთ და ამით იქ ვაჭრობენ. ამ ნაირათ პირველი სრულიად დამოკიდებულია მეორეზე და ესეც კარგა სარგებლობს ამით. აი მაგ. რა ნაირათ აძრობენ ტყავს დიდი ფულის პატრონები პატარა ფულის პატრონთ. წელს, რაკი ქვის მოთხოვნილება დიდია, წვრილებმა ძალიან ბევრი მადანი დაამზადეს გვირაბების ახლო და დაუწყეს ზიდვა, მაგრამ რაკი მსხვილმა მწარმოებლებმა დაინახეს მთებში ქვა ბევრი დამზადდა და მთლათ ზამთრის განმავლობაშიაც ძალიან ბევრი მიიღეს, მოულოდნელათ ფასი დაუკლეს: ფუთზე ორ კაპეიკამდის; იმათ კარგათ იციან წვრილი მწარმოებელი ქვას გადმოუტანელს ვერ დატოვებს, რადგანაც ირგვლივ ძალიან ბევრი შევიწროება ადგია და ამით იძულებული იქნებიან დაკლებულ ფასში ჰყიდონ საქონელი. ბევრი თითქმის დღიურ ქირაზეც ვერ გამოდის, მარა რა ქნას, სხვა გზა არა აქვს, ეს კიდევ ცოტაა, აღარც ამით თავდება საქმე; აქ ერთი ახალი კანონია, „ბრაკის“ (დაწუნებული) სახელით წოდებული და ეს ერთი უძლიერესი იარაღია სხვათა მწარმოებელის ჯიბის გასასქელებლათ. დღეში, რომ ათასი ან ორიათასი ფუთი ქვა ჩააბარეთ, უეჭველათ უნდა ელოდეთ, რომ თუ მეტს არა, ას-ორას ფუთს მაინც უსარგებლოთ ჩაგითვლიან, რომლის ფასსათაც ერთ კაპეიკსაც ვერ მიიღებთ მსხვილ მწარმოებლისაგან. გამყიდველს ორ ნაირი ზარალი ატყდება თავზე: ერთი ის, რომ ფუთი ქვა, გამოუტანელათ სამკაპეიკამდის ღირს, გადმოსატანსაც თითქმის ოთხ კაპეიკამდე აძლევს, მაშასადამე ასი ორასი შვიდი კაპეიკი ეკარგვის ყოველ დღე. და ამას ყურადღებას არავინ აქცევს, ან კი რატომ უნდა მიაქციონ? მყიდველთ არავინ არაფერს არ „უბრაკავს“. ასეა აქაური საქმე მოწყობილი და იმედიცა გვაქვს დიდხანსაც გასტანს, რადგანაც, ვისგანაც ჯერ არს, ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს და ჩვენ ქართველები კი ისეთი კეთილი გულის ხალხნი ვართ, რომ ლუკმას ძაღლსაც არ მოვუშლით; ამნაირათ, მუშები იფცქვნებიან წვრილი მწარმოებლისაგან, ხოლო წვრილი მწარმოებლები სხვილებისაგან...

ა. ხაბულიანი.

—

**სადგური გრაკალი.** ეს რამდენი ხანია აქაურ ხიდზე მუშაობენ 70 კაცი. აი ამათ შესახებ მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. ამათი ბინა აქვე არის, ხიდის მახლობლათ აშენებული, ორი ქოხი (Баракъ). თითოეულ ქოხში 35 კაცს ძინავს. სიგრძე ამ ქოხისა უდრის რვა არშინს, სიგანე კი ხუთს. სიმაღლეც ოთხი არშინი აქვს, საწოლი გახლავს გაუთლელი ფიცრებისა, რომლის ერთი რიგი ძირს, მიწაზე ალაგია და მეორე ჭერში. შეშემოსავალი კარი ერთი აქვს. ოთახში საშინელი ნოტიოს სუნი ტრიალებს. ამ მუშებში არიან პატარა ბავშვებიც, ცამეტი წლიდან დაწყებული თექვსმეტ ჩვიდმეტ წლამდე; ესენიც არეულია ხალხში, როგორც ცხვრებში ბატკნები და ათას ნაირ უზნეობას სწავლობენ. მუშე-

ბი დაყოფილია 12 პარტიათ და მუშაობენ ნარდათ. შრომით დაღალულ-დაქანცულნი საღამოს შვიდი საათიდან დაწყებული შეებარგებიან თავის ნოტიო ოთახში, პირის ან ფეხის დაბანას ვინ ეძებს! მეტადრე ბავშები პირდაპირ ცვივიან თავის შავი ნავთის ფერ ლოგინში. აქ ამ დროს გამოჩნდება კიდევ იმისთანა მუშებიც, რომლებიც ცოტა ხმელი პურის ჭამის შემდეგ გამართვენ სიმღერას, ტაშს და თამაშობას. საწყალ ბავშებს ააგდებენ ლოგინიდან, ათამაშებენ და ამღერებენ, მერე გამართვენ კარტის თამაშს, აქ ხომ მკლავზეა საქმე, ძალა გაქვს, მოიგებ, არ მოიგო—მაინც შენია, რადგანაც საქმე მკლავძეშია. ამაზე მეტი სიგლახე შეიძლება, ბატონო მკითხველო? ყურადღებას არ აქცევენ, რაღაც ქირაა, იმასაც აბაზობით და ორ აბაზობით იღებენ და ასე წვრილ-წვრილათ ეხარჯებათ თავისი ორი გროში და ისევ ჯიბე ცარიელნი დადიან.

კარგი იქნება, უზნეო საქმეებს მაინც მიაქციონ ყურადღება და რამე ნაირათ მოაშლევინონ.

გრაკალის მუშათაგანი.

## ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ინგლისის მხედრობას თანდათან უღიმის ბედი. ვეპერენის განთავისუფლებას თან მოჰყვა ტაბანჩუს აღება და მტერთა განდევნა. ინგლისელები წინ მიდიან აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. ინგლისის დენერლები ბარტონი, ბრაბანტი, გეტონი, პოლკერიუსი და სხვები კვალ-და-კვალ მისდევენ ბურებს. ამ ჟამათ ინგლისელები ვაალის საზღვრებთან დგანან. ამბობენ ბურები მდინარე სანდის ნაპირას მაგრდებიან და დიდ ომს გადაიხდიანო. ქ. მეფკინგი ისევ ალყა შემორტყმულია; 12 აპრილს ბურები იერიშით მისულან ქალაქზე, მაგრამ აფიცრებს სალდათები არ გაყოლიან ქალაქამდი, სადაც მოქალაქეთა და მეციხოვნეთა ურიცხვი ტყვია ვარდებოდა. ქალაქში საჩადი გაჩენილა.—ინგლისის მხედრობა დგას ქ. სმალდენში, რომელიც მდებარეობს ბლუმფონტენის და კრონშტადის შუა. რობერტსმა გამოსცა პროკლამაცია მცხოვრებთა მიმართ და ურჩევს დაუბრუნდით თქვენ ჩვეულებრივ მუშაობასო. მაგრამ ბევრი ბური მაინც აყრილან და ჩრდილოეთით დაწეულან. ბევრიც ინგლისელებთან მისულან და იარაღი დაუყრიათ. 27 აპრილის დეპეშა ამბობს, რომ ორანჟეს და ტრანსვაალის ბურებს შორის უთანხმოებაა და უეჭველია ამას ორანჟეს ბურების მხრივ მორჩილების განცხადება მოჰყვებაო.

ფრენჩის და რობერტსის ჯარები შეერთდენ სმალდენში.

# ერთი შემთხვევა

აპრილის 25-ს, საღამოს $7^1/_2$ საათზე ცხენის რკინის გზის პარკიდან, სადაც ცხენებს და კონკებს აყენებენ და გზის მუშები ცხოვრებენ, მომესმა ყვირილი; „ვაიმე, დედავ, მოვკვდი, მიშველეთ! ცხენმა მომკლაო!. იქავე გარშემო თავი მოეყარათ ქუჩრებს და ხარხარობდენ. როცა ვკითხე ერთ იმათგანს, რა არის მეთქი, იმან მომიგო: ერთი მასხარა ქართველი გვყავს და ის ხუმრობსო... მეც დავმშვიდდი. მაგრამ ეს საზარელი ხმა უფრო მატულობდა, მივედი ახლოს ამ მუშასთან და აი რა დავინახე: ტალახში, პირქვე გდია საბრალო მუშა, ცხვირ-პირიდან სისხლი მოსდის, თავი გატეხილი აქვს, ტვინი გარეთ გადმოდის და მარჯვენა მკლავიც ამოვარდნია!... ვკითხე, რა დაგემართა-მეთქი, მან ძლივს მომიგო, რომ ცხენმა დამკრა თავზე და ხელზე ფეხებიო, და ამ სიტყვებით იქვე ლაფში ჩაიკეცა. ამ სცენის შემხედვარეს ელდა მეცა, დავაპირე დაშავებულის წაყვანა მის ბინაზე. ვკითხე იქვე მდგომ მოსამსახურეებს, სად არის ამის ბინა-მეთქი, და იმათ ასე მიპასუხეს: „Вамъ какое дѣло, баринъ! полежитъ такъ, а потомъ мы возьмемъ! онъ не сдохнетъ, не бойся“-ო და თან კიდეც გადიხარხარეს. მე ბრაზ-მორეული შევარდი სადგურის უფროსთან, ბ. ალექსანდროვთან, და ვთხოვე, ყურადღება მიექცია მომაკვდავისთვის, მაგრამ მან შემდეგი სიტყვებით გამომისტუმრა: „Какъ вы смѣете заходить въ мою камеру, а! убирайся вонъ отсюда, къ чертямъ! Очень мнѣ нужно... Пускай сдохнетъ, собака! А васъ это не касается-ო. ამ სიტყვებზე გამოვბრუნდი და ისევ ღმერთს შევთხოვე შველა, თვარა სხვა აღარავინ ჰყავდა შემწე საბრალო ათ შაურიან მუშა ქაიხოსრო ვეფხვაძეს!... ბოლოს ერთი ამხანაგი შემხვდა და ის გავგზავნე პოლიციელის და ფაიტონის მოსაყვანათ... მაგრამ იმანაც დაიგვიანა და საბრალოს ტკივილიც უფრო ემატებოდა. ბოლოს ავიყვანე, დავსვი კონკაზე, მინდოდა მიხეილის საავათმყოფოში წამეყვანა, მაგრამ კონკიდან ძირს გადმომიძახეს, აქ არ შეიძლება ტალახში დასვრილი მუშის დასმაო (?)... სადგურის უფროსის ბრძანებით თითონ მეც გადმომაბრძანეს კონკიდან... ჩამოიყვანეს საბრალო ვეფხვაძე კონკიდან და იქვე მიწაზე დააგდეს... აღარ ვიცოდი რა მექნა, გავიქეცი პოლიციელის მოსაყვანათ და ჩემ მოსვლამდე სადღაც წაეყვანათ, ვგონებ საავათმყოფოში.

დ. ქ—ძე.

## იმულებული განმარტება.

„ივერიამ“ დღეს მოდათ შემოიღო სხვისი აზრის დამახინჯება, სხვის მისწრაფებათა ყბათ-აღება და

გაქარწყლება. ამ გაზეთის სასაცილო საგნათ გამხდარვართ მე და ჩემი ამხანაგები. არავითარი სურვილი არ გვაქვს, რომ ამ გაზეთს პოლემიკაში გამოვყვეთ და მის ზნეობრივ განძს შევეხოთ. ჩვენ გვსურს მხოლოთ ჭეშმარიტება აღვადგინოთ.

ქუთაისში რამდენიმე ახალგაზდას კარგა ხანია დაებადა აზრი მიეყო ხელი სახალხო წიგნების გამოცემისათვის. როცა ამ საქმისათვის ვემზადებოდით, ხშირათ გვესმოდა, გამომცემელი ამხანაგობის საქმე მეტათ ცუდათ მიდისო, 1897 წ. შემდეგ მას არაფერი გაუკეთებია და სულს ღაფავსო. ჩვენც ვიფიქრეთ: ჯერ ვცადოთ არსებულის გამობრუნება და თუ ეს არ შეიძლება, მაშინ ახალი დავაარსოთო. ამ განზრახვით გავემგზავრეთ 5 მარტს დანიშნულ კრებაზე. წარმოიდგინეთ, კრება მეორეჯელ იყო მოწვეული და წინანდელ წევრებიდან მხოლოთ რვა კაცი დაესწრო. ამან კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ წინანდელ წევრებს ამხანაგობაზე გული აუცრუვებიათ. მაშინ ჩვენ ჯერ მოვითხოვეთ, რომ წევრებათ მიველეთ და როცა ამაზე დათანხმდა კრება, მხოლოთ ამის შემდეგ განვაცხადეთ ჩვენი სურვილი: თუ გვენდობით, გვსურს ამხანაგობის გამგეობა ვიკისროთო. ამით ჩვენ ვითხოვდით ჩვენთვის კენჭი ეყარათ. რასაკვირველია, აქ არავითარი ტაციობა არ ყოფილა. იტყვიან: ამხანაგობის წევრებათ არ ყოფილხართ და გამგეობას ვინ ჩაგაბარებდათო. ამის წინააღმდეგ ჯერ ის უნდა მოგახსენოთ, რომ ქონებრივ შეძლებას არ ახლავს თან უსათუოთ საზოგადოებრივი გრძნობის სიძლიერეც. ტყუილი და ცილისწამებაა, თითქო ვინც შეუძლოა და ფულს არ იხდის საზოგადო საქმისათვის, ის ქართველთა საქმეში „მაზანდარელი თათარი“ იყოს. მეორე ის რომ დღემდის არა ერთი პირი ყოფილა ამხანაგობის მოხელეთ, რომელსაც კაპეიკიც არ შეუტანია მისდა სასარგებლოთ. მესამე, ჩვენ სრულიად არ გვქონია აზრათ საქმეში ჩამდგარვიყავით და ფული არ შეგვეტანა. პირიქით მისვლისათანავე განვაცხადეთ, წევრობა გვსურსო და წევრობას კი ფული უნდა. მაგრამ კრება იმდენათ მიუკარებელი გამოდგა, რომ ვერ შეიძლო ჩვენი წინადადების მშვიდათ მოსმენა და გარჩევა. რასაკვირკელია, მათი აღელვების მიზეზი მესამე დასის მოლანდვა იყო, სწორეთ ესაა, იერიში მოიტანესო—იფიქრეს. მარა ჩვენი წინადადება შემდეგ ნაირათ განვმარტეთ: პირველათ, ჩვენ წრეში არიან არა მარტო მესამე დასელნი, არამედ სხვებიც. აქ ჩვენ გვაერთებს საერთო მისწრაფება ხალხის სარგებლობისა. ჩვენი აზრით ყოველ საქმეში უნდა ვერიდოთ მხოლოთ ზნეობით მახინჯ ადამიანებს, ხოლო საერთო კითხვებში, რომელთა რიცხვი მრავალია, მიმართულების გაურჩევლათ ერთათ ვიმოქმედოთ. გარდა ამისა, ამხანაგობა რთული მანქანაა, რომლის ყველა ნაწილები მწყობიარეთ უნდა მოქმედებდენ. ამისათვის კი საჭიროა ურთიერთის ნდობა, პატივისცემა და სიყვარული. მხოლოთ ამ შემთხვევაში წარმოსადგენია მწყობიარე მოქმედება, მხოლოთ მაშინ განზე არავინ გადგება, არავინ იტყვის, ეს ჩემი საქმეა და ეს შენიო.

ხომ ხედავთ, მკითხველნო, ჩვენ აღნაგებივით კი არ მოვსულვართ კრებაზე, მხოლოთ მშვიდობიანათ, გულ-ახდით და სიკეთის სურვილით. მაშ „მაზანდარელ თათრათ“ კი არ უნდა მიველეთ და „უკადრისობის“ ზარბაზანი კი არ უნდა მოემართათ ჩვენკენ. თუ ჩვენი აზრი არ მოწონდათ, ძალას ვინ ატანდათ?

მარა ყველა ამ მოვლენებში საყურადღებოა მათი საზოგადო ხასიათი. ჩვენში რაღაც ყეენობა შექმნილა. ერთი ჯურის წრეა, რომელსაც თავისი კერპები დაუმკვიდრებია, და მათ გარეთ აღარას ხედავს. თუ ამ წრეს მიეკედლეთ, მაშინ რა ზნეობრივი ზიანიც უნდა გქონდეს, რამდენათაც უვიცი იყოთ, ნუ გეშინიათ: ცხოვრებაში ყველა თქვენი მშველელია, ყველა თქვენი მომხრეა. მარა ვაი თქვენ, თუ სხვა რაიმე აზრი დაგებადათ, თუ გადაცდით ამ წრის ფარგალს. აღარც ნდობა, აღარც პატივი! წასულია თქვენი საქმე! ჩანს, საზოგადოებრივი გრძნობა რაღაც მონოპოლია შექმნილა. მხოლოთ ამ წრის ხალხს ჰგონია—მე ვარ და ჩემი ნაბადიო, სხვა ყველა „მაზანდარელი თათარიაო.“ ლაგამ აწყვეტით დევნა ხომ ჩვეულებრივი თვისებაა ყველა ასეთ გაბატონებულთა და რა ზნეობრივ და გონებრივ სიდუხჭირემდის მივედით მათი წყალობით—ეს ხომ დღეს ყველასათვის აშკარაა...

დასასრულ უნდა გავიმეორო, რომ არავითარი სურვილი არ მქონდა ჩიორასთან გამოკამათებისა. მსურდა მხოლოთ აღმენიშნა, თუ როგორ მახინჯდება ჩვენში თვით სრულიად წმინდა აზრი და მისწრაფება და ჩიორასთან ერთათ ბევრი სხვა მასავით მსუბუქი ხალხი კბილს გიკრეჭსთ და ქელავს თქვენ გულწრფელ მისწრაფებას.

ქუთაისი. პ. სურგულაძე.

## ლავრენტი ტარიელის ძე ჯორჯიკიას ხსოვნას.

წარსულ 25 მარტს ქუთაისის მოსწავლე ახალგაზდობამ დაჰკარგა ერთი თავისი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი: გარდაიცვალა მე-VII კლასის გიმნაზიელი, ლავრენტი ჯორჯიკია. განსვენებული ჯერ კიდევ მოსწავლე იყო. მას არ დაუწერია არც ლექსი, არც მოთხრობა, არ

გამოსულა ჯერ სხვა რომელიმე საზოგადო ასპარეზზე, მაგრამ, გვგონია, მისი ცხოვრების აღნიშვნა არ იქნება მაინც მოკლებული საზოგადო ხასიათს.

ლავრენტი ჯორჯიკიასთანა დინჯ, ჭკუა-დამჯდარ, განვითარებულ ყმაწვილ კაცს ძვირათ შეხვდებოდით გიმნაზიაში კი არა, უნივერსიტეტშიაც. აგერ ხუთი წელიწადია, რაც ის თვით-განვითარების, თვით-ცნობიერების გზას დაადგა და თავისი არა ჩვეულებრივი ნიჭის და ხასიათის სიმტკიცის წყალობით ამ 5 წელიწადში მოასწრო ის, რასაც სხვები 10, 15 წელიწადს ვერ მოასწრებდენ. წიგნს ის კითხულობდა ნელა, შეიძლებოდა ერთი წიგნი ერთ თვეს, თვე ნახევარს ეკითხა, მაგრამ საფუძვლიანათ და საზრიანათ. ერთ აზრს არ გამოუშვებდა ისე, რომ კრიტიკის ქარ-ცეცხლში არ გაეტარებინა, მაყურებელს ეგონებოდა წიგნს ჭამს, აზრებს ულაპავსო.

საზოგადოთ ცოდნის წყურვილით გატაცებულნი ახალგაზდანი ცოტა ყურადღებას აქცევენ ამხანაგობა-მეგობრობას, ისინი გატაცებულნი არიან კითხვით თავდავიწყებამდის. ლავრენტი კი სულ სხვა იყო. ის მუდამ მზათ იყო არა თუ თავის ამხანაგებისათვის და მეგობრებისათვის აღმოეჩინა დახმარება, შეეწყობა, — არა, ის მზათ იყო ყველასათვის, თუნდ უცნობისათვისაც ხელი გაეწვდინა და მხარი მიეცა ჭირში და ლხინში. მისი ფოლადისებური დაურღვეველი ლოღიკური სჯა, მისი მრავალნაირი მაგალითები და ფაქტები სხვა-და-სხვა ერების ცხოვრება ვითარებისაგან, მისი ნაზი, ტკბილი და შემპარავი ხმა ვის არ მოჰხიბლავდა. ყოველთვის დინჯი და აუჩქარებელი ის არა ერთხელ გამხდარა მიზეზათ თავისი ამხანაგების კარგ გზაზე დაყენებისა.

ყოველი ყმაწვილი კაცი და განსაკუთრებით მოსწავლე, იდეალისტური შეხედულობისაა ყველაფერზე, მისი ფსიხიკა ვერ იტანს ამა თუ იმ უზნეო, უწესო მოქმედებას, როგორც ამხანაგებისას, ისე... ხშირათ, ვინ იცის, რა და რა გზისთვის არ უნდა მიემართათ ლავრენტის ამხანაგებს ცუდი მხარეების და არა სასურველ მოვლენების მოსასპობლათ; ვინ იცის რა მხეცურ საშუალებებს არ მიმართავდენ, რომ ისევ „ჩვენი ლავრენტი" არ გამოსულიყო და არ მიეწვდინა მათთვის ბევრათ უფრო მჭრელი და მასთან ერთათ ბევრათ უფრო სიმპატიური, ჰუმანიური იარაღი. მისი დარიგება, რჩევა, ბაასი — სულის წყარო იყო საუკეთესო მოსწავლეთათვის. ერთი სიტყვით განსვენებულის გონებრივი და ზნეობრივი გავლენა მოსწავლე ახალგაზდობაზე უსაზღვრო იყო. ამას გრძნობდა ყველა, როგორც მისი მომხრე, ისე მოწინააღმდეგეც. და სწორეთ ამიტომ მისმა ცხედარმა ყველა ამათ თავი მოუყარა, შეაერთა და, მწუხარებით გარემოცულნი, მუხლმოდრეკით გამოეთხოვენ მის ძვირფას ნეშტს.

საუკუნოთ დარჩეს, ძვირფასო ამხანაგო, შენი სახელი და შენ თვითონ მაგალითათ ჩვენი მოსწავლე თაობისათვის.

ქუთაისი მეგობრები.

## ახალი სასწავლებელი თფილისში.

თფილისის ვაჭრებმა ერთი საშვილი-შვილო და მასთან დროის შესაფერი საქმე გამოაწყვეს — დაიარსეს შვიდ-კლასიანი სასწავლებელი, ორი მოსამზადებელი განყოფილებით, რომელსაც მიზნათ აქვს თავის მოწაფეებს მისცეს საზოგადო და კომერციული განათლება. ჩვენ დროში, როდესაც ვაჭრობამ ასეთი საპატიო და ძლიერი ალაგი დაიჭირა საერთოთ ცხოვრებაში და კერძოთ რუსეთში, — ასეთი სასწავლებლის დაარსება სწორეთ მისწრებაა ყველა იმისთვის, ვისაც ამ გზაზე სურს იმოღვაწოს. დღევანდელი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ თანდათან მეტი ძალა და მნიშვნელობა ეძლევა მრეწველობა-ალებ-მიცემობას და მათთან შეკავშირებულ სხვა-და-სხვა ნაირ საკრედიტო დაწესებულებათ. და აი, ყველა ამაებისთვის მცოდნე კაცთა მომზადება — არის მიზანი ახალ-გახსნილი სასწავლებლისა.

კომერციული სასწავლებლის ბატონ-პატრონი არის თფილისის ვაჭართა საზოგადოების მიერ ამორჩეული საბჭო, რომლის ხელთაც არის სასწავლებლის შესავალ-გასავლის ანგარიშები, დირექტორისა და ინსპექტორის ალაგზე კანდიდატების ამორჩევა და წარდგენა, სპეციალური საგნების პროგრამის განხილვა, შეუძლებელ მოსწავლეთა სწავლის ფულიდან გათავისუფლება და სხ... და სხ...

თფილისის ვაჭართა საზოგადოების მიერ ამორჩეულ საბჭოს უკვე შეუმუშავებია და ფინანსთა მინისტრს დაუმტკიცებია ხსენებული სკოლის პროგრამა. ამ პროგრამით სკოლაში უნდა ისწავლებოდეს საზოგადო განვითარებისათვის — საღმრთო წერილი, რუსული ენა და სიტყვიერება, ორი უცხო ენა (ფრანგული და ნემეცური ან ინგლისური). ორი ადგილობრივი ენა (უნდა იგულისხმებოდეს სომხური და ქართული), ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ბუნების-მეტყველება და ფიზიკა. სპეციალური საგნები — ბუღალტერია (თეორია და პრაქტიკა) კომერციული ბუღალტერია, კომერციული კორრესპონდენცია (რუსულ, უცხო და ადგილობრივ ენებზე), საქონლის ცოდნა (товаровѣдѣніе) ტეხნოლოგიითურთ და ქიმია, კანონების შესწავლა (სავაჭრო და სამრეწველო, ვექსილის უსტავი), პოლიტიკური ეკონომია და კომერციული გეოგრაფია, კალიგრაფია; ხატვა, გიმნასტიკა, სტენოგრაფია, მაშინით წერა და სხ. (ეს ორი უკანასკნელი სავალდებულო არ იქნება).

საკომერციო სასწავლებელში კურს დამთავრებულთ ეძლევათ საპატიო მოქალაქის ხარისხი. ხოლო ჯარში გასვლის დროს მინიჭებული აქვთ პირველი ხარისხის შეღავათი, ე. ი. ისეთივე, რო-



გორიც უმაღლეს სწავლა მიღებულებს. აქ სწავლა დამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში და სამსახურში შესვლის დროს ისეთივე უფლებებით სარგებლობენ, როგორითაც რეალურ სასწავლებლებში კურს დამთავრებულები. ყველა ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ სასწავლებელში სრულიად უარყოფილია სულის შემხუთავი და გონების დამაჩლუნგებელი ეგზამენები — შეგვიძლია თამამათ ვთქვათ, რომ ამისთანა რიგიანი სასწავლებელი ჯერ არ დაარსებულა თფილისში.

გარდა ზემოხსენებულისა, ერთი თვალ საჩინო ღირსება კიდევა აქვს ამ ახალ სასწავლებელს: აქ არ არის, ჯერჯერობით მაინც, კონკურსი, გაჯიბრებითი ეგზამენი, რომელიც ბევრ საკმაოთ მომზადებულ ყმაწვილს უხშობს სწავლა-განათლების გზას... ამ სასწავლებელში ყმაწვილს თხოვენ მხოლოთ განსაზღვრული პროგრამის ცოდნას და თუ ბავშვი იმდენათ მომზადებულია, რომ შეუძლია ამა თუ იმ კლასში ისწავლოს, სიამოვნებით იღებენ, ყველასთვის შოულობენ ალაგს...

მერე ასეთ მრავალ-მხრივ შესანიშნავ და დროს შესაფერ სასწავლებელში ბევრმა ქართველმა მოიწადინა თავისი ყმაწვილის შეყვანა?—ძალიან მცირემ, ჩვენდა სამწუხაროთ და შესარცხვენათ...

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, იტყვის ზოგიერთი მკითხველი: სწავლის ფასი ძალიან დიდი არის დანიშნულიო. პირველ განყოფილებაში 80 მ. წელიწადში, მეორეში—100, ხოლო პირველ კლასში 120 მან. ჩვენ კი ვიტყვით რომ ეს ასე არ უნდა მომხდარიყო: თუ ეკონომიურათ უკან ჩამორჩენილ და დაჩაგრულ ქართველობას უნდა პატარა წინ წამოდგეს და ხალხში გაერიოს, ამან სწორეთ ეს კომერციული ცოდნა უნდა შეიძინოს, სხვა რომ ყველაფერი დაიკლოს, რათა ცხოვრებისათვის ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდეს... გასაკვირველია ის, რომ დასავლეთ საქართველოდან, იმერეთიდან, სადაც უფრო ბლომათ არიან ჩვენი ვაჭრები, თითქმის არავის ჩამოუყვანია ყმაწვილი ამ სასწავლებელში შესაყვანათ, 25 და 26 აპრილს მაინც იქ ვერავინ შევნიშნეთ. არა გვგონია რომ ეს მარტო სიღარიბის ბრალი იყოს. მთელ იმერეთში ერთი ორმოცამდის მაინც როგორ არ იქნება იმდენათ შეძლებული კაცი, რომ ამ სასწავლებელში შვილის აღზრდა შეეძლოს?! ამიტომ ვფიქრობთ, რომ ქართველი ყმაწვილების სიმცირე ამ ხელათ, გარდა ხელმოკლეობისა, აიხსნება ქართველური დაუდევრობით ერთი მხრით და სასწავლებლის დიდი მნიშვნელოვანი პროგრამის უცოდინარობით მეორე მხრივ...

რადგანაც სასწავლებელში ქართველობის რაოდენობას უეჭველია ამ თავითვე გავლენა ექნება ქართული ენის ასე თუ ისე დაყენებაზე, რომელიც პროგრამებით სავალდებულოთ არის აღსარებული, ამიტომ, სხვა რომ არა იყოს რა, პირველ წელიწადს უნდა შევეცადოთ რომ სასწავლებელში რაც შეიძლება მეტი ქართველობა შევიდეს, რათა ქართულმა ენამ ჩვენი ყმაწვილების არ ყოფნით არ დაჰკარგოს ის საპატიო ალაგი, რომელიც მისთვის პროგრამას ურგუნებია. და თუ ვინიცობაა შემდეგ ძალიან გაგვიჭირდა იქ ყმაწვილების აღზრდა, ადვილათ შეგვიძლია გადავიყვანოთ უფრო იაფ რეალურ სასწავლებელში.

ჯერ სულ დაგვიანებული არ არის, მისაღები ეგზამენები პირველ სექტემბერში კიდევ იქნება. ამიტომ საჭიროა, ვისაც ცოტათ მაინც არის ღონე შესწევს, ახლავე შეიტანოს თხოვნა, რომ იმისი შვილი მიღებულ იქმნას სასწავლებელში. ამ საქმეში თუნდა ერთი წლით უკან ჩამორჩენა დიდი ზარალი იქნება ჩვენი ხალხისათვის და ამიტომ გულითა და სულით ვისურვებთ, რომ ქართველობას, განურჩევლათ წოდებისა, მეტი სიმხნევე, მეტი გამბედაობა გამოეჩინოს ამ საჭირო საქმეში!..

ამასთანავე საჭიროთ მიგვაჩნია ვაუწყოთ მკითხველებს, რომ პირველ მოსამზადებელ განყოფილებაში შესასვლელათ არავითარი მომზადება არ არის საჭირო ყმაწვილისათვის. სკოლის პროგრამასა და დაბეჭდილ თხოვნებს მუქთათ ურიგებენ მსურველებს.

ი. გომელაური

## ბ-ნს „არც მტერს და არც მოყვარეს“ 1)

ამას წინეთ „ივერიის“ ფურცლებზე ვიღაც „არც მტერი და არც მოყვარე“ გვერდით ამოუდგა და მხარი დაუშვენა სახელოვან „ჩიორას“ და მასთან ერთათ ქედმოხრილმა თანხმობა, თანაგრძნობა გამოუცხადა კიდევ უფრო სახელოვან „ახალმოსულს“. იგი ჩადგა „ივერიელთა“ რაზმში და მათი ბანაკიდან, ამ ფრიად ზრდილობიან მებრძოლებთან ერთათ, ყუმბარები დაუშინა „კვალს“ და მის თანამშრომელთ; აქედან საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბ-ნი „არც მტერი და არც მოყვარე“ მეტი სიმპატიით და უფრო მოყვრულათ „ივერიას“ და მის მიმართულებას ეკიდება, ვიდრე „კვალს“ და მის მიმართულებას; ხოლო აქედან კი იმის საბუ-

1) უადგილობის გამო ამ წერილის დაბეჭდვა დაგვიგვიანდა. რედ.

თიც გვაქვს, რომ ბ-ნ ,,არც მტერს და არც მოყვარეს'' ვუწოდოთ საზოგადოთ მტერი იმ სინათლის, რომელსაც ეტანება ,,კვალი'' და—მოყვარე იმ სიბნელის, რომელსაც ეტანება ,,ივერია''; ხოლო კერძოთ იმ პოლემიკაში კი, რომელიც ამ ჟამათ წარმოებს ბ.ბ. ჟორდანიასა და ახალმოსულ შორის, ჩვენ შეგვიძლია ხსენებული ვაჟბატონი იმ სინათლის მტრათ მივიჩნიოთ, რომელსაც ბ-ნი ჟორდანია ჰფენს თავის ,,პრესით'' ,,ივერიას'' და ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას და რომელიც ყველაზე უფრო მწვავეთ ,,ახალმოსულს'' მოხვედრია შიგ ,,კაკალგულში'' და ასე საზარლათ აუღრიალებია, ასეთი უშვერი ლანძღვა-თრევით და საზიზღარი, აშკარა ცილის-წამებით აუმხედრებია ჟორდანიას წინაალმდეგ. მაშ, დაგვილოცნია თქვენთვის, ბ-ნო ,,არც მტერო და არც მოყვარევ'', ეგ ,,მრაკობესთა'' ბანაკი! მხოლოთ უნდა იცოდეთ კი, რომ თანამეომრები მანდ ბლომათ არ გეყოლებათ... მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ბ-ნი ,,არც მტერი და არც მოყვარე'' ,,კვალის'' მიმართულებას უფრო თანაუგრძნობდეს ,,ივერიისაზე'' და ამის მიუხედავათ მაინც ,,ივერიის'' დროშით ამჯობინებდეს ,,კვალის'' წინაალმდეგ გამოლაშქრებას. თუ ეს ასეა, მაშინ ამის მეტი არა დაგვრჩენია-რა, რომ ამ ვაჟბატონს გზა-დაბნეული ცხვარი და შორს-გაუჭვრეტელი ვუწოდოთ.

ახლა კვალ-და-კვალ მივყვეთ და განვიხილოთ, თუ რამდენათ საბუთიანია ბ-ნი ,,არც მტრის და არც მოყვარე''-ს საყვედურები „კვალისა“ და მის თანამშრომელთა მიმართ: მარქსის თეორია ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებში დიდი ხნის გაგებული და გადაღეჭილიცააო, ჩვენი ქვეყანა კი იმდენათ ჩამორჩენილია, რომ აქ ახლა სწავლობენ ამ მოძღვრებასო, აი, სხვათა შორის, რას უსაყვედურებს ეს ვაჟბატონი ქართველ მარქსისტებს. ახირებულია! თითქო საქართველოს ჩამორჩენილობა და ქართველთაგან მარქსის თეორიის შეუგნებლობა ქართველ მარქსისტების ბრალი იყოს; ის კი არა, სწორეთ ჩვენი ცხოვრების საზოგადო ჩამორჩენილობა არის იმის მიზეზი, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ,,ღეჭვაა'' საჭირო ამ თეორიის (რასაკვირველია, არა ,,ჩიორა''-,,ახალმოსულთათვის'', რომელთაც რაც უნდა ძალიან დაუღეჭო იგი, მაინც ვერ მოინელებენ). რაც შეეხება ბ-ნი ,,არც მტ. და არც მოყვ.''-ს იმ აზრს, თითქო ლამის რუსეთში ორმა მწერალმა მარქსის მოძღვრების მაგივრათ ახალი სისტემა შექმნანო და სხ... ეს მხოლოთ მისი ოცნების ნაყოფია და სხვა არაფერი. მართალია, მარქსის თეორიის ზოგიერთ პუნქტებს კრიტიკა დაუწყეს, მაგრამ ასეთი კრიტიკიდან მთელი მოძღვრების უარ-ყოფამდე თვალ-გადუწვდენელი მანძილია, და ამ კრიტიკას ჯერ ოდნავაც არ შეურყევია ხსენებული მოძღვრება. თუ ორი მწერალი ვითომდა შეცდომებს პოულობს მარქსის თეორიაში, სამაგიეროთ სხვა ათი და ოცი მწერალი კი თვით ამ თითო-ოროლა ვითომდა შეცდომების პოვნაში მრავალ ნამდვილ შეცდომებს პოულობენ. გარდა ამისა, განა ნიუტონის ან დარვინის თეორია კი ნაკლები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და ეს თეორიები ამით არა თუ არ შეირყა, არამედ კიდევ უფროც გამტკიცდა და დამკვიდრდა! ბ-ნ ,,არც მტ. და არც მოყვ.''-ეს კი წაუკითხავს პ. სტრუვეს სტატია ჟურნალ „Жизнь“-ში და უეცრათ მარქსის მოძღვრების ადგილას ახალი სისტემა მოლანდებია. ხოლო მისთვის, რომ ვისმეს მარქსის თეორია ,,გაეღეჭა'', მაშინ ასეთი საჯაყი საქმე აღარ დაემართებოდა. ის კი გამომდგარა დიდი ბრძენივით და გვიქადაგებს: რა დროს მარქსის მოძღვრების დაღეჭვაა, რა დროს ,,კაპიტალის'' ამა თუ იმ ზომით შესწავლაა, ქართველ მკითხველს ეგ არ აინტერესებსო. სწორეთ მარქსის ,,კაპიტალისა'' და მთელი მისი მოძღვრების შესწავლა-განმარტებაა საჭირო, ბ-ნო „არც მტ. და არც. მოყვ.“ევ, რომ ქართველმა მკითხველებმა (და მათ შორის თქვენც) შეითვისონ, როგორც თქვენ ამბობთ, 1) ცოდნა მეცნიერული, 2) გაიგონ და შეიგნონ სოციალური პირობები და 3) სასტიკათ დაიცვან ინტერესები.

ქართველი მარქსისტები, თქვენი აზრით, არც ერთ აქ ჩამოთვლილ სამ საგანთაგანს ყურადღებას არ აქცევენ. ნუ თუ თვალებზე განგებ იფარებთ ხელს და განზრახ არ გინდათ დაინახოთ, რომ სწორეთ ეგ თქვენგან ათვალწუნებული მარქსისტები სხვებზე უმეტესათ და განსაკუთრებული გულმოდგინებით ემსახურებიან მაგ მიზნებს თუ სამეცნიერო წიგნების დაბეჭდვით, თუ დრო გამოშვებითი გამოცემით, თუ სხ... ან იქნება თქვენ გგონიათ, რომ, სხვათა შორის, ბანკებზე და მის მზგავს საგნებზე მეცნიერული სჯა-ბაასი საჭირო არ იყოს სოციალურ პირობების გასაგებ-შესაგნებათ? ეგ აგრე არ გეგონებათ, რომ თქვენგან „გადაუღეჭელი“, მაგრამ თქვენგანვე (სხვისი გაბრიყვებით კი) უარყოფილი მოძღვრება „გადაგეღეჭათ“ და არ უარ გეყოთ.

ახლა ერთი ეს გვაცოდინეთ, ბ-ნო „არც მტ. და არც. მოყვ.“-ევ: საიდან გაიგეთ, საიდან ამოიკითხეთ, ან ვინ მოგატყუათ („ახალ-მოსულმა“?), რომ ერფურტის პროგრამამ თავისი დრო მოიჭამაო?. ცარიელ სიტყვებს, ხომ იცით, გასავალი აღარ აქვს! თუ შეიძლებოდეს ერთი საბუთის მგზავსი რამ მაინც გვიჩვენეთ მაგ აზრის დასამტკიცებლათ. ან კიდევ

ინებეთ და ამის პასუხი მოგვეცით; რას ნიშნავს თქვენი სიტყვები: ერფრუტის პროგრამას რუსეთის პროვინციაში რა უნდოდაო? რუსეთის პროვინციას უთუოთ ჩვენ ქვეყანას უწოდებთ და რათ გგონიათ, რომ ერფრუტის პროგრამას ჩვენში „არაფერი უნდა“? როცა ამ პროგრამაზე ლაპარაკობთ, რათ არ იცით, რომ იგი საერთაშორისო პროგრამაა?.. ან როცა არ იცით ეს, რათ ლაპარაკობთ? ან თუ ამ პროგრამას უარყოფთ, რათ დამყარებულხართ ვითომ მაზე და ვითომ მისი სახელით ჰკიცხავთ „კვალს“, როგორ თუ მოსამსახურეების ექომაგებითო. ან იქნებ „კვალისავე“ იარაღით გსურდეთ „კვალის“ დამარცხება! ტყუილი სურვილია, რომელიც მხოლოთ თქვენგან ხსენებულ პროგრამის გაუგებრობას ააშკარავებს, რასაც სხვებს უკიჟინებთ სრულიად უსაბუთოთ. თქვენ მოგჩვენებიათ, რომ ვითომ ამ პროგრამით ხელმძღვანელთა დროშის ქვეშიდან განდევნილი იყოს მოსამსახურე ხალხი და ვითომ ისინი საჭიროთ არ რაცხდენ ამ ხალხის ინტერესები დაიცვან. თქვენ რომ ამავე პროგრამის უკანასკნელი თავი გულ-დასმით წაგეკითხათ, დარწმუნდებოდით, რომ ამ პროგრამით ხელმძღვანელნი იცავენ ინტერესებს მთელი ხალხისას, ყველა „წვრილ ადამიანებისას“ („мелкихъ людей“) და სხვათა შორის, მაშასადამე, მოსამსახურეებისასაც.

სევ. ჯ—ლი

---

## გზა-და-გზა

ბ. ახალმოსული ისევ თავისებურ მუშაობაშია! გასულ კვირას მან ერთი უშველებელი ფელეტონი დაბეჭდა, რომლის პირველი ნახევარი მისებური ოინებით არის სავსე, ხოლო მეორე ნახევარი მისებური „აზრებით“. ეს „აზრები“ სწორეთ რომ ხელისხელ საგოგმანებია და რომ ის შთამომავლობას არ დაეკარგოს! მის სხვა „აზრებთან“ ერთად აღვნიშნავთ. ახლა განვაგრძოთ ბ. ახალმოსულის ოინების მხილება.

ბ. ახალმოსულს ჩემი რამოდენიმე წერილი გადაუკითხავს („კვალი“ 1898 წ.) და მოუწადინებია იმათი გამოყენება, რასაკვირველია, მისდა სასახელოთ და ჩემდა დასამარცხებლათ. და კიდევაც გამოუყენებია, მაგრამ იცით როგორ? არა ისე, როგორც ამას ყოველი სინიდისიერი მოკამათე იქმს, არამედ ისე როგორც ამას ბ. ახალმოსული ყოველთვის შვრება. მას შუა წერილიდან ამოუგლეჯია რამოდენიმე სტრიქონი და ზედ ბუქნას გადადის—აი როგორ წავავლე ხელი ავტორს „ქეჩოშიო!“ პირველათ მას მოჰყავს 1898 წ. პირველ ნომერში დასტამბულ სარედაქციო წერილიდან [1]) შემდეგი სტრიქონები:

„ერთი სიტყვით, მწერლობის ცხოვრებასთან შეკავშირება, მისი კვალ-და-კვალ მიყოლა, ახალ-ახალ მოვლენათა გარკვევა, ახსნა და შეგნება—აი რედაქციის მიზანი, აი რედაქციის სატრფიალო საგანი“.

ამას თან აყოლებს ერთი ჩემი სტატიიდან შემდეგ სტრიქონებს:

ახალი მოღვაწე „პირველ ყოვლისა არავითარს რეცეპტს არა სწერს, არავითარ მარშრუტს არ ადგენს. ის იცნობს ცხოვრების მსვლელობას ისე, როგორც არის, სურს მხოლოთ ეს გამოარკვიოს და ახსნას“ (№ 40 გვ. 657, 1898 წ.)

აი ამ ორ ამონაწერს ის შემდეგ შენიშვნებს უმატებს: „როგორ მოგწონთ ეს ვითომ და ნიშნობლივი კუთვნილებანი ახალი მოღვაწისა. სანაძლეოს დავდებ, ვინც შეიძლებს ამისთანა ნიშნებით გაარჩიოს ახალი მოღვაწე ძველისაგანო“ და რასაკვირველია ბ. ახალმოსული იმარჯვებს! და მართლაც, ვინ გამოვა ისეთი, რომ თქვას ეს თვისება სიახლის ან სიძველის დამახასიათებელიაო. უეჭველია არავინ და მე კი მაინც ასე მითქვამს თურმე! დავუჯეროთ ბ ახალმოსულს? ვინც მისი ამბები იცის, არ დაუჯერებს, თვითონვე მონახავს იმ წერილებს, საიდანაც ეს სტრიქონები ამოღებულია და დაინახავს, რომ „ივერიის“ დევგმირს, აქაც, როგორც ყოველთვის, ერთი უშველებელი უწესობა მოუხდენია, მას გაუშვია სწორეთ ის ადგილები, რაიცა შეადგენს „ნიშნობლივ კუთვნილებას“ ახალი მოღვაწისას და ამოუკრებია ის, რაც ყველა მოღვაწეს ასე თუ ისე უნდა ახასიათებდეს. აი რა გაუშვია ბ. ახალმოსულს პირველი წერილიდან:

„მარა ცხოვრება ხომ მატარებელია *ძველის* და *ახალის*, წარსულის და მომავალის. ამათი ერთმანერთისაგან დაშორება, თვითოეული მხარის დანაწილება და *არა ერთმანერთში არევა*—არის პირდაპირი მიზანი მკვლევარის. ჩვენ აქ ვიკითხავთ: რომელია ძველი, გაქრობისაკენ მიდრეკილი, და რომელია ახალი, მერმისის მქონებელი. ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ამ უკანასკნელს მივაქცევთ, პირველი კი იმდენათ საყურადღებოა, რამდენათ ის მეორეს ხელს უშლის ან და ხელს უწყობს. ჩვენი მიზანია მომავლის დაბადებას დავეხმაროთ“. აი ამის შემდეგ მოდის ბ. ახალმოსულის მიერ მოყვანილი პირველი ოთხი სტრიქონი.

ხოლო მეორე წერილთან ბ. ახალმოსულს კიდევ მეტი ოინი ჩაუდენია. იმას სულ მთლათ ერთიანათ დაუტოვებია ის, რასაც არავითარი სინიდისიერი კრიტიკოსი არ დატოვებდა. აი რას ვწერდი ამ ახალმოღვაწეობის დამახასიათებელ წერილში.

„საზოგადოებაში არსებობს დამოკიდებულება არა მარტო ადამიანთა შორის, არამედ მდიდარ და ღარიბ, დაჩაგრულ და დამჩაგვრელთ შორის. ე. ი. ხალხის ერთი ჯგუფის ინტერესი ეწინააღმდეგება მეორე ჯგუფის ინტერესს და ეს გარემოება აიძულებს თითოეულ მათგანს ერთმანეთს შეებრძოლოს. აი ამ *ჯგუფთა* ანუ *კლასთა* განვითარება არის იმავე დროს ნაციონალური განვითარება. გამორკვევა იმის თუ როდის რა კლასი ვითარდება, როდის რა ნაციონალური ცხოვრება მკვიდრდება—არის მიზანი და ლტოლვილება საზოგა-

---

[1]) ამ წერილის შესახებ ამბობდა ამას წინეთ ბ. ახალმოსული: ის „ივერიის“ პატრონის არისო! ახლა კი ის წერილი აღარ მოსწონს ე. ი. არ მოსწონს „ივერიის“ პატრონი!

და მოღვაწეობის... წინააღმდეგობა კლასთა შორის იწვევს წინააღმდეგობას ერთა შორისაც, ორი ერის ინტერესი ერთმანერთს ეჯახვის და იწყება ნაციონალური ბრძოლა. თანახმათ იმისა თუ როდის რომელი კლასი უფროსობს -- ეს ნაციონალური ბრძოლაც სხვა და სხვა ხასიათს და ელფერს ღებულობს. ამის გამოცნობა და გარკვევა საზოგადო მოღვაწეობის აუცილებელი მოთხოვნილებაა. ორივე ეს პროცესი წარმოებს დღეს ჩვენში და მაშასადამე ორივე ეს მოითხოვს საზოგადო მოღვაწეთა ყურადღებას. ამ ნიადაგზე აღმოცენებული კითხვები არიან ჩვენი ძირითადი კითხვები და მათი გადაჭრა უპირველესი მოვალეობაა'' და სხ.

და აი ყველა ეს დამახასიათებელი თვისება ბ. ახალმოსულს გამოუშვია და მით მკითხველი მოუტყუვილებია. ეს რომ მას ამოეწერა, მაშინ ხომ ვერ გამოილანძღებოდა და მაშასადამე პოლემიკასაც ვეღარ მოახერხებდა. ის თუმცა ბოდიშობს საცინებელი სიტყვების „ლექსიკონი დამელიაო", მაგრამ მაინც ახერხებს შემდეგ ნაირათ ილაპარაკოს: „განა აშკარა არ არის რომ ბ. ჟორდანიას სადღაც ყური მოუკრავს, რომ არიან ახალნი და ძველნი მოღვაწენიო, თუთიყუშივით დაუსწავლია და უნარი კი არა ჰქონია, სათვანელი შემოკლების ნიშნობლივ მიეცნო ან ერთისა, ან მეორისათვის და იმისთანა ამბებს მოჰყოლია, რომელიც ისე მიეწერება ახალს, როგორც ძველს"-ო! განა ამაზე უფრო გადამახინჯება სტატიების შეიძლება? ჩვენ სწორეთ ეს ნიშნობლივი თვისება გავარკვიეთ და გავარკვიეთ გვარიან ვრცლათ, ბ. ახალმოსული კი ამას მალავს, არც ერთს ამას არ იხსენიებს და სამაგიეროთ ჭორიკანობს: ნიშნობლივი თვისება არ თქვაო!

დიახ, ძნელია, ძნელი, როცა ადამიანს ცილისწამება ძვალ-რბილში გაუჯდება და—ყველა ამის საჯაროთ გამოცხადებასაც შეუდგება. მისი მიზანია არა სიმართლე და ჭეშმარიტება, არამედ ლანძღვა და თრევა. და აი, ასეთი იშვიათი ლიტერატორი ბრძანდება ბ. ახალმოსული. მთელი მისი კვირის ფელეტონი (და რომელი არა?) ასეთი გადამახინჯებით არის სავსე. ჩემი ერთი წერილი (1898 წ. № 41), რომელიც ერთიანათ სამოქალაქო სწავლა-ცოდნის ხალხში გავრცელებას ეხება, (ე. ი. საკომერციო, სატეხნიკო, სახელოსნო, სამრეწველო და სხ.) ბ. ახალმოსულს მეურნეობაზე გადაუტანია და იძახის: აკი თქვენვე ამბობთ ახლა იმას, რასაც წინეთ „ივერია" ამბობდაო! და ასე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტყუილი და ტყუილი! ჩვენ კარგათ ვიცით, რა აბრაზებს და რა ამახინჯებიებს ბ. ახალმოსულს ასე საშინლათ სხვის აზრებს. და რომ სხვებმაც გაიგოს ეს—ამისათვის საჭიროა მან პირ-ბადე აიხადოს და თავისი ნამდვილი სახით დაგვენახვოს. ეს ჩვენ მოვთხოვეთ გასულ კვირას, ის ჯერ-ჯერობით დუმს, არას ამბობს. მაშ ცოტას კიდევ მოვუცდით.

ნ. ჟორდანია.

## წერილი რედაქციის მიმართ

Ბატ. რედაქტორო! აგერ რამდენი ხანია, რაც აღიძრა პოლემიკა ბ. ბ. ახალმოსულისა („ივერია") და ნ. ჟორდანიას („კვალი") შორის. დაწყებიდანვე ამ პოლემიკამ არა სასურველი სახე მიიღო, ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მკითხველთა შორის და მოკამათეთა გამწვავება გვიმტკიცებს, რომ ამ პოლემიკას ჩქარა არ მოეღება ბოლო. დეე იკამათონ! ფრანგები ამბობენ „აზრთა შებრძოლებისაგან იბადება ჭეშმარიტება"-ო, მე პოლემიკის წინააღმდეგი არა ვარ, მხოლოთ, როგორც მკითხველი, ვაძლევ ჩემ თავს ნებას მოვთხოვო მოკამათეთ მართებულობა, პატივისცემით მოპყრობა, როგორც ურთიერთშორის, აგრეთვე მკითხველისადმი. მცირე რუსიელები იტყვიან „паны дерутся, у мужиковъ чубы болятъ"-ო, სწორეთ ასეა ჩვენი, მკითხველების, საქმეც. ნუ თუ, ბ. „ახალმოსულო" (მხოლოთ „ძველათმოვლინებულო"-დავუმატებ მე) ვერ შეგიგნიათ აქამომდე ის უბრალო და მართლა საანბანო ჭეშმარიტება, რომ პიროვნების შეხება უმართებულო რამ არის? ნუ თუ აქამომდე ვერ გაგიგიათ, რომ მბრძანებელი ტონი ლიტერატურაში ანახრონიზმია, რომ მკითხველის თვალის ახვევა არა საკადრისია? თქვენ კი ყოველივეს იდენთ და ყოყოჩობთ კიდეც ამაებით, აი რა წითელი კოჭი ვბრძანდები, ლუკმათ არ მეოფნის არც ბ. ჟორდანია, არც მისი თანამოაზრენი და თანამგრძნობნი, არც ივერიის და კვალის მკითხველებიო! აფსუს პოლემისტო, აფსუს ლიტერატორო, მეცნიერო, ბანკირო და არა „ფინანსისტო" და სხვა და სხვა! რამ გაგაკადნიერათ ამ ზომამდე, ბ. ახალმოსულო?! ნუ თუ მხოლოთ და მარტო მან, რომ ბ. ნ. ჟორდანიას „პრესა" ვერ მოგინელებიათ? მერე რაო? ცხენს ვერ მოერიეთ და უნაგირს მსხვრევა დაუპირეთ? უნაგირიც რომ სახელდახელო არ დაგირჩათ, ახლა მკითხველებს მოსდექით? აბა რა საკადრისია ეს საქციელი თქვენისთანა დარბაისელი „მეცნიერისთვის"?

ჯონ ამბობს: მშრომელი ადამიანი, თუ ის ადამიანია, შესაძლოა შეცდეს რაშიმე და უნდა შეცდეს კიდეც; ჩვენ კარგათ გვესმის, რომ ბ. ნ. ჟორდანია მშრომელი ადამიანია, ამიტომ ისიც გვჯერა და დარწმუნებულნიც ვართ, რომ მას შეცდომებიც აქვს, ხოლო შეცდომას გასწორება უნდა და არა ლანძღვა-გინება. შეცდომას სინამდვილე გაასწორებს და არა თვალთმაქცობა და ნათქვამის გადაკეთ-გადმოკეთება. დიახ, ჩვენ (მკითხველები) ვხედავთ და ვერც ვერავინ აგვიხვევს თვალებს, რომ ბ. ნ. ჟორდანია შრომობს მისდა სასახელოთ და ჩვენდა სანუგეშებლათ და ამიტომაც შეცდომებს შეცოდებათ არ ვიჩნევთ, მხოლოთ იმასაც ვხედავთ, რომ ბ. ახალმოსულს ჰსურს თვისი უსაქმურობა დიდ ღირსებათ ჩაგვათვლევინოს და თვალთმაქცობა რომ არ შეგვამჩნევინოს მბრძანებლობის ტონს იღებს: „მე დავამტკიცე, მე ვამხილე, საძუე (ძა-

ლიან ლიტერატურული სიტყვაა, თქვენმა მზემ,) შემოვაწყვიტე“ (იხილე „ივერიის“ № 84) და სხვა. მართალი მოგახსენოთ, ჩვენ ჯერ ბ. ახალმოსულის ნაშრომი არ გვინახავს, თუმცა გვპირდება კი სხვა-და-სხვა ლიტერატურულ მოვლენათა შესწავლას მომავალში (იხ. იგივე №) [1]) და ამიტომაც არც შეცდომას ვხედავთ მის ნაწერში გარდა გულდიათ და თამამათ გამოქვეყნებისა თვისი უმეცრებისა. მხოლოთ რაც შეეხება მის თვალთმაქცობას, ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, რადგანაც ბ. ახალმოსულს მოდებია ის დიდების სენი, რომელსაც „mania grandiosa“ ვუწოდებთ და რომლისგანაც არის შეპყრობილი არა მცირედი ნაწილი ჩვენი ნაძალადევი მოღვაწეებისა.

დასასრულ ორიოდე სიტყვა ბ. ნ. ჟორდანიასადმი: ჩემი აზრით, ძალიან შემცდარი ბრძანდებით ბ. ნოე, რომ აჭყევით ბ. ახალმოსულს და პოლემიკაში გაებით მასთან. ეს სამწუხაროა მით, რომ თქვენ ჰკარგავთ აგეთ ძვირფას დროს უნაყოფოთ, იმ დროს, როცა საქმე მრავალ არის, ხოლო მუშა კი ცოტა არა.

არ შემიძლია არ გავითვალისწინო ერთი მოვლენა, რომელიც შემიმჩნევია თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ყრილობებზე და რომელიც მომაგონებს ბ. ახალმოსულის პოლემიკურ ფანდებს. როცა ერთი ოპოზიციის მოთავეთაგანი ლაპარაკს დაიწყებდა (კარგათ ლაპარაკობდა ქართულათ) და გამგეობას ამხელდა ხოლმე ისეთი ფაქტებით, რომლის დარღვევა გამგეობას არას გზით არ შეეძლო, ამ დროს, შუა ლაპარაკში, შეაწყვეტინებდა ბაასს ერთი გამგეობის წევრთაგანი და შეეკითხებოდა „რა ბრძანეთ, კნიაზო?“ ისიც გულწრფელათ გაუმეორებდა ხოლმე და მით იწყვეტდა ბაასის ძაფს და ამ დროს გაისმოდა დარბაზში „ჰოო!“ გამგეობის წევრისა, ისეთი სახის შეცვლით (გრიმასით), თითქოს ამ ჰოომ დაარღვია ძირეულათ მოყვანილი ფაქტი. ამით ეს ბატონი შთაბეჭდილებას თავის სასარგებლოთ ახდენდა და მეტი არც იმას ჰსურდა. ამ ბ. ახალმოსულის პოლემიკაშიაც ხშირათ „ჰოო“-ს ძახილი მოისმის. . . . [2]).

ქართველი ექიმი.

## ნულების წერილები

### I.

მე გახლავარ მე-ასმეორე ნული და მსურს ჩემ მოძმე ასერთ ნულს გამოველაპარაკო.

უეჭველია ამ ჩემ სიტყვებზე ბევრი ირონიულათ ჩაიცინებს და იტყვის: „ეს მე ასმეორე „ნული“ ვილა ამოჩნდაო; ჩანს საქართველოში კიდევ ყოფილან „ნულებიო“, მაგრამ იმისი იმედიც კი მაქვს რომ ჩემსავით „ნულის“ წევრი არ დამიწუნებს და მეც მარტო იმათთვის ვწერ. მაშ ბ ნო რედაქტორო! გთხოვ ეს ორიოდ განაწერა სადღაც მიაკუნჭუხუროთ, რომ დიდ ვინმეს თვალეპში არ შეეჩხიროს და არ დავაფრთხოთ.

ძმანო „ნულებო“!

მე, თქვენი მე-ასმეორე ამხანაგი, (რასაკვირველია, თუ შეუძლია „ნულს“ ახმანაგობა) გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს, დიდებულ „ნათლიას“ და უცნაურ „სახელს“. მართლაც, რომ უცნაური სახელი გვიწოდა „ნათლია“ ჩვენმა, მაგრამ ეს ადვილი მოსანელებელი იქნება, თუ გავიხსენებთ „ნათლია“ ჩვენის ბრწყინვალე სახეს, მის ზრდილობას და პატიოსნებას. მარტო ის გვეყოფა სასიქადულოთ, რომ ჩვენი „ნათლია“ დიდი ვინმეა, დიდი გვარის შვილი და დიდი ადგილიც უჭირავს. ჯერ ერთი ის რათ ღირს, რომ ის მთელი „ივერიის“ გამგეა და ჩვენ რომ „ივერიაში„ მოვინათლეთ, ეს კი არაფერია?! მართალია, ჩვენ „ივერიაში“ წილი არ გვიძევს, „ნულები“ ვართ, მაგრამ ჩვენი ნათლია ხომ ცოცხალი „ივერიაა“?! დიახ, ვიამაყოთ „ნულებო“, ვიამაყოთ ჩვენი სახელოვანი „ნათლიით“. მარტო იმას შეუძლია არაფერზე („ნულებზე“ არ გეგონოთ) მთელი თვეობით ილაპარაკოს; ამის მაგალითები ყველას წაკითხული გექნებათ. მადლობა შევწიროთ განგებას, რომ ასეთ სახელთან ასეთი „ნათლია“ მოგვინიჭა?! დასასრულ მოგახსენებთ, ძმანო „ნულებო“, რომ ასეთ პექა-ქუხილს, როგორიც „ნათლიას“ აუყენებია, წვიმა არასოდეს არ მოჰყვება, ის მარტო ხმათ დარჩება და განუსაზღვრელ სივრცეში გაქრება. მან მაინც გაჰოაცხადა „ნულებში“ ყოფნას დაკარგვა მირჩევნიაო! ამ ქვეყნათ მოგეხსენებათ ძალიან ბევრი „ნულები“ ვართ და ამ „არა-ნულს“ არ ეკადრება ჩვენ შორის ყოფნა. მაშ, მშვიდობით ბ. „ნათლია“ ჩვენო, თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვის, ჩვენ „ნულებთან“ ერთათ.

ს. ბახვი. მე-102 ნული ნ. კ—ძე

### II.

ბ-ნმა „ახალმოსულმა“ ამას წინეთ ბ.ბ. კირვალიძე, მერკვილაძე და მასთან ერთათ ას-ერთი კაცი ნულებათ ჩათვალა. მე ერთი ამ „ნულთაგანი“ გახლავარ. მართალია, ნულის აზრს და მსჯელობას „დიდი ვინმეები“ იუკადრისებენ, მაგრამ ჩემი თანამოძმე „ნულები“ ძალიან ბევრია ჩვენში და იმედია ისინი მოისმენენ ამ ჩემ სიტყვას.

აი რა უნდა მოგახსენოთ, ჩემო ნულებო: ბ. ახალმოსული ეს სამი კვირაა ავლაბრული კილოთი შეუდგა ნ. ჟორდანიას ნაწერების ვითომ და გარჩევას, ხოლო ნამდვილათ კი ლანძღვა-თრევას. შეიძლება ის მართლაც ახალმოსული იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამასთანავე „ახალი დაბადებულიც“ იყოს და მაშასადამე ლანძღვა-გინების ანბანა ახლა შეესწავლოს. ის, როგორც მისი წერილებიდან ჩანს, დიდი ხნის უნდა იყოს. ის ამ ორი წლის წინეთაც, უ-

[1]) ესეც კარგი იმედი და წყალობაა, თქვენმა მზემ!

ასოთამწყობი.

[2]) ჩვენ ბევრი ასეთი წერილები მოგვდის და ამ წერილების უმეტესი ნაწილი გვირჩევს, თავი დაანებეთ ახალმოსულთან პოლემიკასო. ჩვენ ამას კაიხანიდან ასე ვიქმოდით, რომ ბატონი ახალმოსული „დიდი ვინმე“ არ იყოს და მაშასადამე ბევრი ბრმა თაყვანისმცემლები არ ჰყავდეს. საჭიროა ამათაც დაინახონ ის, თუ რა ავლადიდების პატრონია მათი კერპი.

ნ. ჟ.

ქველია, იმავე იარაღით იქნებოდა აღჭურვილი, როგორითაც ახლაა, და სად იყო ამდენ ხანს? ბ-ნმა ნ. ჟორდანიამ, ის წერილები რომელთაც დღეს ბ-ნი ახალმოსული ეხება, 1898 წ. დაწერა, ახლა 1900 წელია და მინდა ვკითხო ბ-ნ ახალმოსულს, თუ მართლა მას ნ. ჟორდანია ასე მიაჩნდა, რატომ მაშინ არაფერი თქვა? ნუ თუ საზოგადო მოღვაწე უნდა დაყუჩდეს იქ, სადაც თქმაა საჭირო? მაგრამ რას ვამბობ! განა მას ჭეშმარიტება, **ხაზოგადო** საქმე აინტერესებს? არა, ჩემო ნულებო, თქვენ ამით თავი არ მოიტყუოთ. და განა მას თვით კილოში არ ეტყობა რა კაციც ბრძანებულა? განა იმისთანა კაცს, რომელიც მთელ გაზეთის ფურცლებს უბრალო სიტყვების რახა რუხს, ლანძღვა-გინებას და ათას გვარ ცილის-წამებას ანდომებს, იმისთანა კაცს, რომელიც მოწინააღმდეგეს მიწასთან გასასწორებლათ არავითარ ოინს არ ერიდება, მოეთხოვება რამე? დეე, ბ-ნმა ახალმოსულმა, თავისი უმზგავსი წერილებით მისი ,,ფარეშები‘‘, მისი ბრმა თაყვანისმცემლები გააკვირვოს, ხოლო ჩვენ, ნულებს, ველარ შეგვაცდენს და თეთრს შავათ ველარ მოგვაჩვენებს.

თფილისი ვ. კა—ლი.

III.

,,ივერიის‘‘ ახალმოსული ჩვენ, ხალხის შვილთ, ნულებს გვიწოდებს. კაცი იფიქრებდა, ის უთუოთ დიდი გაზდილი კაცია და თავს არ გვიყადრისო. მაგრამ ეს ერთი ხანია მის ნაწერებს ვკითხულობთ და შიგ გაზდილობის ვერაფერი ვერ ვპოვე. აი ამ ,,არა-ნულის‘‘ ზრდილობა:

,,საუზმეთ, დილის სიფთაზე ეს მისის უმეცრების მცვრიანი წვადიც საკმარისია, სადილები, ღვთით, მერე იქნება თავისის წვნიანებითა..." ქვევით: ,,ბ-ნ ჟორდანიას უმეცრებას ქეჩოში ხელს წავავლებ. მე მარტო ამას ვწუხვარ, რომ ეს მისი ზღვა უმეცრებისა კოვზით უნდა ამოვსწურო...‘‘ ან და კიდევ: „თუ დამცალდა კი, ღვთის წყალობა თქვენა გქონდეთ, მე ბ-ნი ჟორდანია გამოგიჭიმოთ მთელის თავისის სიგრძესიგანით და ხელის გულზე გაგიგოროთო...‘‘ და სხ. მისთანაები. მოდი და ნუ იტყვი, ამის მწერალი მართლაც ნული არ არისო. ჩვენ, ბატონებო, ჩხუბის დროსაც კი ვერიდებით ასეთ სიტყვებს და ,,ივერია‘‘ კი ასე მოწიწებით აწვდის მკითხველებს. ახლა ერთი მითხარით, ზრდილობის მთხოვნელნი თუ ნულებია, ეს ,,ივერიის‘‘ უზრდელნი რა უნდა იყვენ? იმედია ამის პასუხს ,,ივერია‘‘ მოგვცემს.

პროვინციელი ნული

## ბიბლიოგრაფია

(„მოამბე" №№ I და II 1900 წ.)

(დასასრული) *)

Ბ-ნი კიტა აბაშიძის ,,1899 წ. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას‘‘ რომ კითხულობთ, ასე გგონიათ, თითქოს საფრანგეთის ლიტერატურის განხილვას კითხულობდეთ: რეალიზმს მოჰყვა ნატურალიზმი, დღეს ნატურალიზმი ირღვევა და მის ალაგას იჭერს ფილოსოფიურ-ფსიხოლოგიური მიმართულება, —ერთი სიტყვით ისე, როგორც საფრანგეთში! ნეტა ვიცოდეთ, რომელ კუნჭულში გამოქექა ბ-ნმა კიტამ ნატურალიზმი ჩვენში, ან რამდენი გააჩნია ქართული ნატურალისტური რომანი? რომელიმე მოთხრობაში რომ ნატურალიზმის ერთი-ორი ნიშნები აღმოაჩინო, ეს არ არის საკმარისი, რომ მისი ავტორი ნატურალისტათ აღიარო. ნიშნები ნატურალიზმისა, მართალია, არის ჩვენში, მაგრამ, რადგანაც ნატურალიზმში ერთი ტოტია რეალიზმისა, ამიტომ ეს ნიშნებიც ისევ რეალიზმს მიეწერება და იმის დამტკიცება, ჩვენში ნატურალიზმი არის და უკვე ირღვევაო, ცალიერ ფანტაზიათ მიგვაჩნია. ნატურალიზმის ძებნაში კიტა აბაშიძეს აღმოუჩენია ჩვენში ერთი ნიჭიერი ბელეტრისტი... ბ. ივ. ზურაბიშვილი, რომელიც ყოფილა ჩვენი დღევანდელი ლიტერატურის ტონის მიმცემი! მოდი და ნუ შემეზიზღება ამას შემდეგ ჩემი თავი: ერთ ტკაველა ქვეყანაში ვცხოვრობ და აქამდის არ ვიცოდი, თუ ასეთი ბელეტრისტი გვყოლია! ფუი ჩემ შერცხვენას! მართლა და იმისთანა ლიტერატურასაც კი რა ვუთხრა, რომელსაც ბ-ნი ზურაბიშვილისთანა ბელეტრისტები ტონს აძლევენ! ბ-ნი კიტა ბ. ცინცაძეს წამებს ,,კლაკიორობას!‘‘, ნამდვილათ კი თვითონ შეუთვისებია ეს ხელობა და თავის მეგობრებს ქება დიდებას ასხამს. ჩვენ ვურჩევთ ბ-ნ ზურაბიშვილს: ნუ აჰყვება ისეთ მეგობრებს, რომლებიც კრილოვმა დაახასიათა ,,დათვსა და მეუდაბნოეში!‘‘, მას ჯერ ბელეტრისტის ნიჭიც რომ ჰქონდეს, მაშინაც ვერ მისცემს ტონს ჩვენ ლიტერატურას, რადგანაც დამოუკიდებელი შემოქმედება მას არ შეუძლია: რომელ მწერალსაც თარგმნის, მისი სრული მონაა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ბ. ზურაბიშვილს ბელეტრისტობის იმდენივე ნიჭი აქვს, რამდენიც ყოველ ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც თავის სიცოცხლეში მოკითხვის წერილების მეტი არა დაუწერია-რა. შეიძლება მას ,,ნაზი და მგრძნობიერე ნერვებიც ჰქონდეს, ფაქიზი ტემპერამენტიც‘‘, მაგრამ ბელეტრისტის ნიჭი კი არა, უამისოთ კი ბელეტრისტობა შეუძლებელია. ზურაბიშვილის ასპარეზი სიტყვაკაზმულ მწერლობაში თარგმნაა,—ამ ასპარეზზე მას შეუძლია სარგებლობის მოტანა; მაგრამ თუ კიტა აბაშიძის ახირებულ კრიტიკას დაუჯერა და ჩვენი ლიტერატურის ტონის მიმცემ ბელეტრისტათ წარმოიდგინა თავი, ჩვენ მწერლობას ვერაფერს ვერ შეძენს, გარდა უხეირო ეტიუდებისა. — არაგვისპირელის შარშანდელ ეტიუდებში მართლაც ღრმა ფილოსოფიური აზრები იყო გატარებული, მაგრამ ქვეყნიერობაზე აბსოლიუტური არაფერია და კრიტიკოსისათვის ხომ აბსოლიუტური მჭვრეტელობით ხელმძღვანელობა დიდი შეცდომაა, მეტადრე ქართველი კრიტიკოსისათვის. ქართველ მწერალსაც, რასაკვირველია, სახეში უნდა ჰყავდეს საზოგადოთ ადამიანი, მაგრამ ამავე დროს ის არ უნდა ივიწყებდეს, რომ საქართველოშია და ქართველებისათვის წერს, რადგანაც ის რისი თქმაც საზღვარგარეთ შეიძლება, ჩვენში ხანდახან საზარალოც არის, ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ განუვითარებელია, საზოგადოებრივი ინტერესები არ არ-

*) იხ. „კვალი" № 17.

სებობენ, ყველა მარტო თავის თავისათვის ვცხოვრობთ, საკუთარი თავისთვის ვზრუნავთ მხოლოთ და ასეთ მდგომარეობაში რაღა იმის თქმა გვეჭირვება: ადამიანი, სიცოცხლე სისულელეა, წუთიერი სიამოვნება მთელ სიცოცხლეს—ჯობიაო? ასეთი ქადაგებით განა ზნეობას აგვიმაღლებთ და საზოგადოებრივ ინსტინქტებს გაგვიღვიძებთ? არაგვისპირელის შარშანდელი ეტიუდების ფილოსოფიური აზრი საგულისხმოა და დამაფიქრებელი, მაგრამ ასეთი მიმართულების ეტიუდებს დღეს ჩვენში მხოლოთ ზარალის მოტანა შეუძლიათ. ამის გამო შემცდარია ის მწერალი, რომელიც ასეთი ქადაგებით ცდილობს ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესობას, მაგრამ ბევრათ უფრო შემცდარია ის კრიტიკოსი, რომელიც ასეთ ეტიუდებს ჩვენ საზოგადოებას უქებს და სახელმძღვანელოთ მიუთითებს.

ბ. პ. უმიკაშვილის ,,სამეცნიერო მუშაობა'' ფრიად საყურადღებოა, მაგრამ განუხორციელებელი. ავტორი მოგვითხრობს, რამდენი გაჭირვება ელობება ქართველ სტუდენტებს წინ. ეს გაჭირვება ხომ მაშინაც თან ეხლება მას, ვინც პროფესორობისათვის მზადებას დაიწყებს! პროფესორობის რჩევა და მათთან კავშირი რა კუჭს გაუძლებს ვისმე? ლუკმა-პურისათვის აქეთ-იქით რბენა და ამავე დროს საპროფესოროთ მზადება ძალიან ძნელია. ამ მხრით რუსისა და ქართველი სტუდენტის შედარება შეუძლებელია. რუს-სტუდენტს, რომელიც კურსის დასრულებას შემდეგ პროფესორობას ეპირება, მშობლები, ნათესავები, თავისიანები უმეტეს შემთხვევაში იმავე ქალაქში ჰყავს, სადაც თვითონ ემზადება; ის ცხოვრობს საკუთარ სამშობლოში, საკუთარ საზოგადოებაში; ასეთ პირობებში კი გაჭირვებაც უფრო ნაკლებია, მომზადებაც გაცილებით უფრო ადვილი. არც ერთ ქართველ სტუდენტზე ეს არ ითქმის; სიღარიბის ატანის გარდა ის სამუდამოთ უნდა მოწყდეს სამშობლოს, მშობლებს, ნათესავებს... მართალია, ავტორს შეუძლია შეგვნიშნოს: კაცობრიობის ინტერესები გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე მშობლებისა და ნათესავებისადმი სიყვარულიო; ასეთი შენიშვნა სრულიად სამართლიანია, მაგრამ ჩვენც შევნიშნავთ ბ. უმიკაშვილს, რომ გულის ამოგლეჯა, დასმუსვნა და გადაბერტყება ადვილი არ არის, სასურველიც რომ იყოს. არც ჩვენ გვინდა ბ. უმიკაშვილზე ნაკლებათ, რომ ქართველი პროფესორები ბევრი გვყავდეს, და თუ არ გვყავს ამის მიზეზი უფრო ღრმა არის, ვიდრე მარტო სურვილის უქონლობა ან სხვების ჩაგონება. — ,,ჩიორას'' გამოსარჩლებას ბ. ლალისათვის ,,ჩიორას'' ლიტერატურული ზნეობა ცოტა მოუცხია: ,,წამორომა'' და სხვა ასეთი მარგალიტები მასაც ჩამოუსხამს თავისი კალმის წვერზე! ბედნიერია ჩიორა: მოწაფეებს მალე შოულობს და მალეც წრთვნის ხოლმე!

გი—ვი

## „კვალის" ფოსტა

ბ. ძირულ-ყვირილელს და სხვებს. რედაქცია არ ბეჭდავს ისეთ წერილებს, რომლის ავტორის ვინაობა მან არ იცის. ამიტომ კორესპონდენციებთან ერთათ, გინდ ცალკე ბარათში, თქვენი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ბინაც უნდა იყოს აღნიშნული.

ამ წლის 20 აპრილს გაიხსნა

**ქალაქის**

**საჯარო ვაჭრობის დარბაზი**

სოლოლაკისა და რტიშჩევის ქუჩების კუთხეში, თ. ბებუთოვის სახლში.

ამ დარბაზში მოხდება ხოლმე ვაჭრობა ყოველ გვარ მოძრავთა ქონებათა, თანახმათ სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთა, საკრედიტო დაწესებულებათა, დამგირავებელ კასსათადა კერძო პირთა თხოვნისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ხოლმე შენობის დარბაზში, მაგრამ ესევე ვაჭრობა შეიძლება მოხდეს ნივთების მეპატრონეთა სახლში, დუქნებში და მაღაზიებში.

დაწვრილებითი პირობები საქონლის გასაყიდათ დანიშვნისა, მისი შენახვისა და საზოგადოთ ყოველივე პირობა ,,საჯარო ვაჭრობის დარბაზისა'' მსურველს შეუძლია შეიტყოს ზემოხსენებულ დარბაზში.

(2—5)

**თფილისის**

**ქალაქის გამგეობა**

საყოველთაოთ აცხადებს, რომ იგი მიიღებს შეწირულებას სოფელ მარტყოფის (თფილისის მაზრა) მაცხოვრის ხელთ-უქმნელის სახელობის ტაძრის განსაახლებლათ.

(1—3)

**„კვალის" და „ჯეჯილის" რედაქციაში**

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)
ალბომი ,,ბუნება სურათებში'' ყდ. 1 მ. 20 კ. (გასაგზ. 20 კ.)
პატარა ლორდი . . . . . . . . . 30 კ.
ჩვენი ძველი გმირები . . . . . . . 30 კ.
თეთრი და ზანგი . . . . . . . . 15 კ.
სოლომონ მეფე . . . . . . . . . 10 კ.
ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა . . . . . 10 კ.

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

Доз. ценз. Тиф., 29 Апрѣля 1900 г. სტამბა ე. ი. ხელაძისა. Тип. Е. И. Хеладзе Л.-Меликов., ул., № 28